

## წელი ახალი! მშვიდობა უნდა გვახარო!

სიტყვა და საქმი

### როცა მერმისი ასე ხელუხასხებია



„მერმისი“ მუდმივად მისწრაფის განვითარებისაკენ. ამის დასტურია ის, რომ 2023 წელს კოლეჯში განხორციელებულმა პროფესიულმა საგანმანათლებლო პროგრამამ „სამკერვალო წარმოებაში“ პროფესიული განათლების ეროვნული ჯილდოს გამარჯვებულის – წლის საუკეთესო პროგრამის სახელი მოიხვეჭა. ეს ბოლო წლებში დამკვიდრებული ტრადიციის გაგრძელებაა, კერძოდ, 2018 წელს კოლეჯი წლის საუკეთესო კოლეჯად დასახელდა, 2019 წელს – კატეგორიაში „წლის პროფესიული განათლების სტუდენტი“ – ეს პატივი კოლეჯის სტუდენტმა დაიმსახურა, 2021 წლის პროფესიული განათლების ეროვნული ჯილდოს გამარჯვებული კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებელი გახდა.

**მწვერვალზე** ამა თუ იმ კალიბრიდან შეგიძლია ასვლა. ვიდრე ადიხარ, ხედი შეზღუდულია, მაგრამ მთას ზედ რომ მოექცევი და ლაღად გადახედავ არე-მარეს, ხედი მთლიანად გეშლება თვალწინ.

ასეა: ვიდრე სწავლობ, ამა თუ იმ დისციპლინას, ხელობას ეუფლები, თვალსაწიერი ვიწროა, მაგრამ დაოსტატებულს წინ ფართო ასპარეზი გეშლება...

მდინარეები დელტებად იყოფა. ყოველი ნაკადი თავის ტოტში მიედინება, მაგრამ შესართავთან კვლავ ერთიანდება და ასე ჩაედინება ზღვებსა თუ ოკეანეებში, ჩვენი ინტერპრეტაციით, ცხოვრებას ზღვა რომ ჰქვია და სწორედ ამისთვის უნდა იყო მზად: ცოდნით, ღირსებით შეუერთდე ცხოვრების მდინარეს, შენი ადგილი მონახო და დაიმკვიდრო ცხოვრების ზღვაში.

სწორედაც საშვილიშვილო – ახალგაზრდების ცხოვრებისათვის მაქსიმალურად სრულყოფილად მომზადებას ემსახურება კოლეჯი „მერმისი“; ისე წარმართავს მუშაობას, რომ სტუდენტებისთვის მერმისი, რაც შეიძლება, იქვე, კოლეჯშივე ხელშესახები იყოს. ანუ, ყოველმა ყმანვილმა მაშინვე გაისიგარძეგანოს, რომ ოსტატ-პედაგოგთა გარჯითა და თავისი სიბეჯითით ის ყოველდღიურად უყრის საფუძველს მისსავე წარმატებულ მომავალს შინ და საერთაშორისო ასპარეზზეც. ამ შეგნების ჩამოყალიბების გარანტი კი სწორედ „მერმისის“ ყოველდღიური მუშაობა, წესი და რიგია და არა რაღაც პომპეზურობა და მყვირალა ღონისძიებები. ვიმეორებ: ეს კოლეჯის ცხოვრების წესია! ეს დიდი სიკეთე კი ბუმერანგით უბრუნდება ქვეყანას, ვის მსახურებასაც უნდა შეუდგნენ კურსდამთავრებულნი.

ასე რომ კოლეჯი „მერმისი“ სრულად ამართლებს თავის მისიას: „**კოლეჯის მისიაა წვლილი შეიტანოს ქვეყნის ეკონომიკურ სტაბილურობაში; შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი მაღალკვალიფიციური და სამოქალაქო ცნობიერების მქონე კადრების მომზადებით**“.

ღირებულებებს: **პროფესიონალიზმი და ხარისხის მაღალი სტანდარტი; გუნდური მუშაობა, ინიციატივის კენ სწრაფვა!**

და ხედვას: **2030 წლისათვის, ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრის დაკვეთის შესაბამისად, სტუდენტების საჭიროებაზე მაქსიმალურად მორგებულ გარემოში პროფესიული უნარებისა და აზროვნების განვითარება**“.

აქტიურად თანამშრომლობს ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოსთან, თბილისის მერიასთან, სსიპ დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოსთან, სსიპ მსჯავრდებულთა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრთან.

საქართველოს პროფესიული განათლებაში მიმდინარე რეფორმების კვალდაკვალ, კოლეჯი ჩართო ინტეგრირებული პროგრამების განხორციელების პროცესში, რაც 9-კლასიდან დასრულების შემდეგ 12 კლასის ატესტატთან გათანაბრებული დიპლომის მიღების საშუალებას აძლევს.

„მერმისი“ მუდმივად ზრუნავს სტუდენტური სერვისების განვითარებაზე, მათი საჭიროებების გამოვლენაზე, სტუდენტური პროექტების განხორციელებაზე და მათი კარიერული განვითარების ხელშეწყობაზე, უქმნის მათ უსაფრთხო სასწავლო გარემოს, უზრუნველყოფს სასწავლო პროცესისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებსა და მხარდაჭერას ხარისხიანი განათლების მისაღებად.

2022 წელს კოლეჯმა ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ დაფინანსებული პროექტის – „პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ექსტრაკურსული აქტივობების დანერგვა-განვითარება“ – ფარგლებში, ა(ა)იპ საქართველოს დეკორატიულ და ტყის შემქმნელი ენდემური სახეობების მწარმოებელთა ასოციაციასთან პარტნიორობით განხორციელა პროექტი „მომავალ მენარმეთა კლუბის შექმნა“. პროექტის ფარგლებში, პარტნიორი კომპანიის აქტიური ჩართულობით, კოლეჯის ტერიტორიაზე მოეწყო სკვერი, რომელიც რეკრეაციულ დასასვენებელ სივრცედ, ასევე კულტურულ-შემეცნებითი აქტივობების ადგილად იქცა

გავრცელება მე-2 გვ.



კოლეჯი მსურველებს თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნად ყოველწლიურად განახლებად პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს სთავაზობს. ამჟამად 26 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებს: ვებტექნოლოგიები (მოდულური); ვებტექნოლოგიები (ინტეგრირებული);

სარესტორნო მომსახურება (ინტეგრირებული); სარესტორნო მომსახურება (მოდულური); გრაფიკული დიზაინის შესრულება (მოდულური); გრაფიკული დიზაინის შესრულება (ინტეგრირებული); კულინარიის ხელოვნება; კულინარიის ხელოვნება (დუალური); თექის დამზადება;

კონდიტერია; სამკერვალო წარმოება; ფესხაცმლისა და ტყავის ნაკეთობათა წარმოება; მხატვრული ქსოვა; მომინანქრება; თმის მომსახურება; ხის მხატვრული დამუშავება; ელექტრობა; იატაკისა და ფილის სამუშაოები; ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერი; სავალი ნაწილის შეკეთება; ძრავის შეკეთება; სასტუმრო მომსახურება (მოდულური); სასტუმრო მომსახურება (ინტეგრირებული); მსუბუქი ავტომობილების ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება; ბულალტრული აღრიცხვა; საოფისო საქმი;

შემოქმედებითი მუშაობა მასში გაშლილი. ზრდასრული მოსახლეობის პრაქტიკული უნარების გამოუმუშავება/განახლება და კომპეტენციების განვითარების მიზნით, კოლეჯი პროფესიული მომზადების პროგრამებსა და სასურტიფიკატო პროგრამებს ახორციელებს. საამისოდ, კოლეჯი



მასწავლებლებო, ითანამშრომლეთ ჩვენთან!





მზიური დათიაშვილი - ავტორი

ახალი წელი

დაუდგრომელი სული ზე ილტვის და ფიფქთაცვენის ისხამს მანტიას, - მოსინიკების ნაომარ წილყრის, ჟამთ-ჭედურობა ფიფქთა ვანტია... მიგრირებული ტომნი სუნთქავენ,

თეთრი ღრუბლები შეჯარდა ზეცად, ალტკინებულნი სიხარულს ფეკავენ, სინაზე ფიფქთა ბრწყინავს ასკეცად... „პირილეთის“ ხატი თავს დაგვტრიალებს, წინაპართ სულთქმა გუმბათოვანი, დიდება უფალს! - ძირძველო მოდგმავ, ზეცა გფარავდეს ძალ-გულოვანი!.. თეთრი ფიფქების დარად ბრწყინავდე, სიმშვიდის ფრფინვა ლოცავდეს სამწყსოს, ახლო წელო, გულს ათბობს ყინვაც, როცა ცხოვრებას სიბრძნით აანყობ... ნაშენი ფიფქთა, ჭედურ ოსტატთა, ხალიბურ მრწამსთა ზედნაშენია, მოსხთა თუ რანთა დაფიფქულ ტახტთა, ჟამთასვლის ბრწყინვა შემოგვრჩენია!.. - ახლო წელო, ძალა მოგვეცი, დროვ, სიდიადე მხოლოდ შენია!.. სიყვარულისთვის მღერის ყრმა-მხეცი... შობის გალობა დამამშვენია!..

ჩემს ჰატარებს

მოფრიალებს ფიფქები, თუ ყოჩალი ვიქნებით. ხელის გული გავშალოთ, შევევებოთ ციცივნები!.. (სიმღერა)

\*\*\* დნება ფიფქი, აღარ ჩანს, ეფინება მთა და ბარს დაიხურავს თეთრ საბანს დედამინა!!!

რა კარგი ხარ ზამთარო, გვინდა სულ გავგახარო, ფიფქი თოვლი ზეციდან მუჭით გადმოგვაცარო!..

\*\*\* ტყეს ჩაუცვამს ქათიბი, იანვარი ზუზუნებს, ენატრებათ ნათიბი ზაზუნებს...

გამოსულა მელია თოვლს ხვეტს კუდაგრძელია არ სცივა...

სიცივეში ძნელია, და საკმაოდ ბრძენია, თოვლი ქათიბს აცვივა... კურდღლებს ჩასაფრებია,

ემმაკუნა მელია, ვარიკებს ჯობიაო, ისე გემრიელია...

\*\*\* ბარდნის, ბარდნის, დედამინა თეთრ ბალიშს დაემსგავსა, ახალი წელი მოსულა! ახარა დამ ემზარსა...

\*\*\* ნუცამ თოვლი ააგორა, - თოვლის შაპა ვიქნები!... - ვასიკუნა მომეხმარე, შენ ბაბუად ითვლები...

სიტყვა და საქმი

პირველი გვერდიდან

კოლეჯის სტუდენტების, მოსახლეობისა და სკოლის მოსწავლეებისათვის. კოლეჯის ადმინისტრაციის, მენარმეობის პედაგოგისა და სხვადასხვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა აქტიური ჩართულობით დაფუძნდა მენარმეთა კლუბი.

2023 წელს, ზემოაღნიშნული ექსტრაკურსული აქტივობების პროგრამის ფარგლებში, ნაძალადევის რაიონის გამგეობასთან თანამშრომლობით განხორციელდა პროექტი - „ცხოვრება ჯანსაღი წესით“, რომლის ფარგლებში ამოქმედდა სპორტული კლუბი; მოენყო სპორტული დარბაზი, სადაც განთავსებულია

ქვეპროგრამის ფარგლებში, თბილისისა და რეგიონის საჯარო სკოლებში განხორციელდა პროფესიული უნარების განვითარების საორიენტაციო კურსები.

კოლეჯი აქტიურად თანამშრომლობს კერძო და სახელმწიფო სექტორებთან. თანამშრომლობა შეხვედრების ორგანიზებას, გამოცდილების გაზიარებას, სტუდენტების სანარმოო პრაქტიკით უზრუნველყოფას, სტაჟირებასა და შემდგომ დასაქმებას გულისხმობს. ხშირად იმართება შეხვედრები სხვადასხვა წამყვანი კომპანიის წარმომადგენლებთან (სსიპ დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო, რესტორანი „ჯი ემ თი მთანმინდა“, სასტუმრო „რუმისი“, სასტუმრო „მერკური“ და სხვა).

2024 წლიდან კოლეჯი ჩართულია ინტერნაციონალიზა-



სამი პერსპექტიული სტუდენტი სამთვიან სტაჟირებაზე იყო უნგრეთის დედაქალაქ ბუდაპეშტში. ეს პროგრამა კოლეჯის სტუდენტებისთვის მსოფლიო დონის განათლებისა და საერთაშორისო შესაძლებლობების გადაშლის კიდევ ერთი დასტურია. მით უფრო, რომ კოლეჯი განაგრძობს საერთაშორისო პარტნიორობის გაფართოებას და სტუდენტების ჩართვას ახალ საერთაშორისო პროგრამებში.

მა და ჯეროვნადაც, კოლეჯი ურად წარმართავს კოლექტივის მუშაობას. შედეგად ხომ სახეზეა. და ასე ყალიბდებიან, ასე ოსტატდებიან, ასე ეშლებათ შრომის, შემოქმედების ფართო თვალსაწიერი მწვერვალებიდან ცხოვრების ზღვაში შეცურებულ „მერმისის“ ალსაზრდელებს და მუხრან მაჭავარიანის ლექსის ფრაგმენტი: თბილისის ფართო ქუჩებში დადის: ლილა, ლონდა, ნათია, ნანი, ელისო, ვაჟა, გიორგი, გივი და... იარონ! იარონ! იარონ! ამინ! - ზუსტად ესადაგება „მერმისელებს“, რადგან „მერმისში“ მერმისი - მომავალი - ასე ხელშესახებია!

\*\*\* აი, ასე ამართლებს კოლეჯი სრულად თავის მისიას, ღირებულებებსა და ხედვას.

ცხადია, სათანადო ხელმძღვანელობის გარეშე, კოლეჯი ასეთ თვალსაწიერ წარმატებებს ვერ მიაღწევდა. საბჭოთა ხანს მიჩუმათებული პიროვნების როლმა კარგია რომ წამოიწია. კოლეჯს სათავეში ამ დარგის გამოცდილი და მცოდნე სპეციალისტი ქალბატონი ნონა ლუდუშაური უდგას, ვინც შიგნიდან, გამონვლილვით უწყის ეს სისტე-

კონსტანტინე გურბანიძე



სატრენაჟორო მოწყობილობები (ველოტრენაჟორი, თბილაპურები, სარბენი ბილიკი, მულტიფუნქციური ტრენაჟორი) მაგიდის ჩოგბურთის მაგიდა, მოწყობილია ჭადრაკის სათამაშო სივრცე, სატრენაჟორო დარბაზში ფუნქციონირებს ფიტნეს ჯგუფები. ეტაპობრივად იმართება შეჯიბრებები ფეხბურთში, კალათბურთში, ჩოგბურთში და სხვა.

2022 წლიდან აქტიურად გაგრძელდა თანამშრომლობა საჯარო სკოლებთან. ა(ა)იპ - პროფესიული უნარების სააგენტოს პროგრამების „სტუდენტური და პრესტუდენტური სერვისების განვითარების ხელშეწყობის“

ციის პროცესში. საერთაშორისო ვიზიტებისა და ERASMUS+ პროგრამის ფარგლებში, კოლეჯის მასწავლებლები ევროპული გამოცდილების გაზიარების მიზნით იმყოფებოდნენ იტალიაში, ქალაქ კომოში, ტურიზმისა და სტუმართმასპინძლობის სკოლაში „კომეტა“, ლატვიაში, ვესპილისის ტექნიკურ სასწავლებელში; სომხეთში - ქ. დილიჟანში. თავის მხრივ, კოლეჯში სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდა იტალიის კოლეჯ „კომეტის“ პრეზიდენტი ალექსანდრო მელა.

„მერმისმა“ წარმატებით დაასრულა პირველი Erasmus+ პროგრამა. კულინარიის ხელოვნების

შემდგომი თანამშრომლობის მიზნით, კოლეჯს სტუმრობდნენ უნგრეთის რესპუბლიკის Felcsúti Letenyey Lajos High School-სა და Kiskunhalas Vocational Training Center დაწესებულებების დირექტორები და ადმინისტრაციის წარმომადგენლები.

საერთაშორისო თანამშრომლობის გაძღვრების მიზნითვე გააფორმა კოლეჯმა ურთიერთ-თანამშრომლობის მემორანდუმი გერმანიის ბად იუბრეკინგის პაულ კერპენსტაინერის სასტუმრო საქმისა და მომსახურების სფეროს პროფილურ კოლეჯთან; ყაზახეთის წამყვან კოლეჯებთან: ტრანსპორტისა და კომუნიკაციის უმაღლესი სკოლასთან, სერვისისა და ტურიზმის, თანამედროვე ჰუმანიტარულ-ტექნიკურ, მერკენსკის, აკმოლინსკის რაიონის ქ. კოკმეტაუს უმაღლესი ტექნიკურ და სომხეთის არარატის რეგიონალურ კოლეჯებთან.

2023 წლიდან განახლდა თანამშრომლობა საერთაშორისო თანამშრომლობის გერმანიის ეკონომიკის ფონდთან (SES). ამ თანამშრომლობის ფარგლებში, მასწავლებელთა და სტუდენტ-



# სანიმუშო თანამშრომლობა და „მეგობრობა გზად და ხილად“



**ჩვენ ერთმანეთის მეკვლე ვართ, მხარში დგომით ყველა სიძნელეს ვძლევთ. ხათუნა ნებიერიძე დიდი დირექტორია. ისეთი, როგორიც იყო კლასიკური გიმნაზიის სახელოვანი მესვეური ლიანა შენიურული. დიას, სწავლები-სა და აღზრდისათვის აქვს თავი შენიურული. ადრე 130-ე სკოლა ფენიქსები ააღორძინა, დიდი ხანია 179-ის ძლიერებისთვის იბრძვის. სამგორის რაიონში.**

მეორე ასეთი წარმატებული 106-ე სკოლა გახლავთ თენგიზ გულორდავას მეთაურობით.

გთავაზობთ სკოლიდან მიღებულ ინფორმაციას:

## პართ „გულითა გაუტახელნი, მოულალაჰნი მკლავითა“

თბილისის 179-ე საჯარო სკოლა აშენებულია 1985 წელს, ამჟამად სკოლაში 1470 მოსწავლეა.

სკოლის დირექტორია ქალბატონი ხათუნა ნებიერიძე.

მოადგილეები: ნინო ბერიძე, სვეტლანა მამრაში და რუსუდან გორდელაძე.

ბუღალტერი - ნათელა აფციური, საინფორმაციო მენეჯერი - ზოია მათეშვილი,

საქმისმმართველი - თამარ ნანდოშვილი, სკოლის ექიმი - ნათია ბერელაშვილი, სპეციალური პედაგოგები: თამარ კველიძე, ელისო მელაშვილი, მარიამ ქუფარაშვილი, მნე - შოთა ჯაგაშვილი, აიტი - ლევან მგელაძე,

დამლაგებლები: მაია ქელიძე, ქეთო კობახიძე, სოფიკო კობერიძე, ნანა ალიხანაშვილი, დღის დარაჯი - ნანი გიორგაძე.

ამჟამად სკოლა ადგილმონაცვლეა. საგაკვეთილო პროცესი მიმდინარეობს სსიპ ქალაქ თბილისის 180-ე საჯარო სკოლაში, ნამდვილად სასიხარულოა, რომ გაიჭრა სკოლის საძირკველი და სულ მალე თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილ მეგა სკოლაში დაფუნდებით.

ქალბატონი ხათუნა ნებიერიძე 2007-2011 სასწავლო წლებში იყო N130 საჯარო სკოლის დირექტორი, ჰყავს მეუღლე და სამი შვილი. ქალბატონი ხათუნა შესანიშნავად უძღვება სკოლას და სწორი მენეჯმენტით შეძლო მოსწავლეთა რაოდენობის მნიშვნელოვნად გაზრდა.

2024-2025 სასწავლო წელს რთული პირობების მიუხედავად გაიხსნა ხუთი პირველი კლასი,



ური); მაკა ნიჟარაძე (მშობელი I საფეხური); ქეთევან გრძელიძე-ლი (მშობელი I საფეხური);

გვყავს 89 პედაგოგი, აქედან 70 სერთიფიცირებულია. 2 მენტორი პედაგოგია: ნანა ბეგაშვილი; თეა ზაკალაშვილი.

წამყვანი - 16 პედაგოგია: ვაჟა ორველაშვილი, მაია ბურდული, მარიამ ალადაშვილი, მაკა ჯავახიშვილი, ია ყანდაშვილი, სო-

აშვილი, ირმა ხატიაშვილი, თინათინ კონსტანტინიდი, ნანა ხატიური, იზოლდა შუხოშვილი, მთვარისა ნიკლაური, რუსუდან გორდელაძე, ლია აბაშიძე, დარეჯან სუთიძე, იზა გაბუნია, ლიანა თხინვალი, მეგი გქელიძე, ნოდარ ხარებაშვილი, ნანი ჯანაშვილი, გულნაზი თაბუკაშვილი, მარინე მინდიაშვილი, ელენე გოგოლაშვილი, ოლღა კვეზერელი.

ეტყველო მეცნიერებები - მაია მაჭარაშვილი; დაწყებითის კათედრა - სოფიო ჭარბაძე; ესთეტიკის კათედრა - მზია ბოტკოველი.

გასულ სასწავლო წელს გვყავდა ათი ოქროსა და ერთი ვერცხლის მედალოსანი მოსწავლე.

ჩვენი სკოლის მოსწავლეები აქტიურ მონაწილეობას იღებენ სხვადასხვა კონკურსში, საიდანაც გამარჯვებულები ბრუნდებიან დიპლომებით, სიგელებით.

სკოლის ბიბლიოთეკარია ზეინარ ჯაჭვლიანი. ბიბლიოთეკაში არის მეთოდური და მხატვრული ლიტერატურა, სადაც მოსწავლეები აქტიურად კითხულობენ მხატვრულ ნაწარმოებს.

მე-5 კლასის მოსწავლე ქრისტინე ჯაფარიძე (დამრიგებელი - ნინო ლაზარიაშვილი) - კინგსის მათემატიკის ოლიმპიადის 2023 წლის შემოდგომის სეზონის წარმატებული მონაწილეა.

გიორგი გელაშვილი - ა. ჩიმაკიძის სახელობის მე-3 ხელოვნების სკოლის მოსწავლე დაჯილდოვდა სიგელით „მე მინდა საქართველო მიცნობდეს“.

ანა რევაზიშვილი - მეორე ხარისხის დიპლომი „თელას თასი 2024“.

ანასტასია წუნუნავა - კლასიკური მუსიკის 16 ეროვნულ კონკურსში ჯილდოვდა დიპლომით. კლასიკური მუსიკისა და ხელოვნების 17 საფესტივალ კვირულში დაჯილდოვდა ცეკვაში პირველი ხარისხის დიპლომით. „იპოვე შენი ვარსკვლავი“ კონკურსში საუკეთესო შესრულებისთვის - დიპლომით. ასევე - კინგსის მათემატიკის ოლიმპიადის ვერცხლის მედალი აქვს.

მარიამ თედიაშვილი, კინგსის ინგლისურის ოლიმპიადზე აიღო დიპლომი და ტანვარჯიშის თბილისის პირველობაზე - მესამე ადგილი.

მე-9 კლასის მოსწავლე საბა არაბული (დამრიგებელი - ლიანა ხეთისიაშვილი) - საქართველოს ჩემპიონია; მრავალი საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული კალაჯიშვილი; საბუნებისმ-



რომელთა დამრიგებლები არიან: ხათუნა დვალისხილი, ნაირა ჩანქსელიანი, გულნაზ თაბუკაშვილი, მარიამ ქავთარაძე, ირმა აბრამაშვილი.

გვყავს სამეურვეო საბჭო, მისი თავმჯდომარეა - რუსუდან გორდელაძე, მდივანი - ნაირა ჩანქსელიანი.

საბჭოს წევრები: რუსუდან გორდელაძე (პედაგოგი); ნაირა ჩანქსელიანი - (მდივანი); მთვარისა ნიკლაური (პედაგოგი); მარიამ ქავთარაძე (პედაგოგი); ია ყანდაშვილი (პედაგოგი); ვიოლეტა ეხვია (III საფეხური); თამარ ფიფია (მშობელი II საფეხური); ნათია გოგოჭური (მშობელი II საფეხ-

ფიო ჭარბაძე, თამარ ნანდოშვილი, მაია მაჭარაშვილი, სახელაშვილი, ოლღა კვეზერელი, ლელა მუშუკოშვილი, ეკა კილასონია, ლია ცუხიშვილი, ირმა ქუფარაშვილი, მარიამ ქავთარაძე, ლანა პაპუნაშვილი.

სკოლაში არიან ღვანდომოსილი პედაგოგები, რომლებმაც მრავალი წარმატებული თაობა აღზარდეს ქვეყანას: მარინა გონაშვილი, ლიანა ხეთისიაშვილი, მანანა ჭონიაშვილი, ნათელა ჯავახიშვილი, დოდო ჩუბინიძე, ეთერ გონაშვილი, შორენა კობახიძე, მარიამ ტურაშვილი, ვაჟა ორველაშვილი, ლალი ძამიაშვილი, რუსუდან აკობიძე, მარინა ივანაშვილი, თინა სუხ-

პედაგოგი - მზია ელიაძე, გამოირჩევა პოეტური ნიჭით, აქვეყნებს ლექსებს. ქალბატონი მზია საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრი, დიპლომანტი, ი. გოგებაშვილის სახელობის პრემიანტი, ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია „ქალდეა-საქართველოს“ აკადემიკოსი, ოქროს დიპლომის მფლობელია. გამოშვებულიც აქვს ლექსების კრებულები. „ქართული ენის საუფლოში“, „ენა ჩემი სამყაროა“.

7 კათედრა. ყველა კათედრა თავისი საგნის მეთოდოლოგიაში ჯგუფურ-ინდივიდუალურ და სხვადასხვა პროექტზე მუშაობს. ატარებენ ინტეგრირებულ გაკვეთილებს და ორიენტირებული არიან ცოდნის ხარისხზე. ქართული ენა და ლიტერატურა - ლია ცუხიშვილი; მათემატიკა - ირმა ქუფარაშვილი; საზოგადოებრივი მეცნიერებები - მაია ახალაია; უცხო ენა - ეკატერინე კალაჯიშვილი; საბუნებისმ-



გაგრძელება მე-4 გვ.

# მოდით წარსულს გადავხედოთ ერთად...



სკოლა „ივერონის“ მეთაველასელებმა იაკობ ხუცესის „შუშანიკის წამების“ ტექსტისა და ამვე სახელწოდების დოკუმენტურ ფილმზე დაყრდნობით მოამზადეს ზეპირი გამოსვლა თემაზე: „შუშანიკის წამება“ – სარწმუნოებრივ-ოჯახური თუ ისტორიულ-პოლიტიკური დრამა?

განალიზებს ისტორიული კონტექსტი, რომლის ფონზეც ვითარდება ნანარმოებში აღწერილი მოქმედება საქართველო – ირანსა და ბიზანტიას შორის.

მოსწავლეებმა დამაჯერებელი არგუმენტებით ისაუბრეს ნანარმოების პერსონაჟებზე, მათ პიროვნულ ვნებებსა და ქვეყნის ისტორიულ არჩევანზე (გმირზე და ანტიგმირზე).

**დაწი დარჩიდე** – ჩვენი ხალხის ცხოვრებაში უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა იყო ქრისტიანობის მიღება. წყაროების თანახმად ქართველებს ქრისტეს

სჯული უქადაგეს ანდრია პირვეწოდებულმა, სვიმონ კანანელმა და მათათამ. სახელმწიფო რელიგიად კი ქრისტიანობა გამოცხადდა უფრო გვიან, 326 წელს, როცა კაპადოკიელი ქალწული ნინო თავისი თმებით შეკრული ვაზის ჯვრით ხელში შემოვიდა ქართლში, მოაქცია მირიან მეფის ოჯახი და მონათლა ხალხი.

**გვანცა კიკალიშვილი** – გაქრისტიანებამ წარმართა ქართველთა კულტურული ცხოვრება, განსაზღვრა ერის ზნეობრივი იდეალები. ქრისტიანობამ მოიტანა ახალი ხედვა – „ღმერთი სიყვარული არს“ და სიყვარულზე დაფუძნებული სახარება – „გიყვარდეს მოყვასი შენი“.

ქრისტიანობაზე მოქცევით თითქოს გარდაისახა ქვეყნის სივრცული გარემოც. ქართლის უძველესი სატახტო ქალაქის, მცხეთის სიახლოვეს გოლგოთად წარმოიდგინეს მთა და აღმართეს ჯვრის მონასტერი

(კ. კეკელიძე, რ. სირაძე). სახარებისეული სახელები შეარქვეს სხვადასხვა ადგილებს: მცხეთას იერუსალიმად მოიხსენიებდნენ, ძველი დედაქალაქის შემოგარენში გაჩნდა ბეთლემი, ბეთანია, თაბორი, სიონი...

**მარამ დარჩიდე** – ქრისტიანობა აუწყებდა ქართველს, რომ სიკეთეა სამყაროს არსი, რომ მშვენიერებაა ის, რაც სიკეთეა, რომ ღვთის ხატად შექმნილმა ადამიანმა თავისი პიროვნების ამალეებით უნდა აღიდგინოს ის, რაც დაკარგა – ღვთაებრივი ხატი. ეს კი კაცთა მოდგმისთვის ჯვარცმული ქრისტეს ბაძვით, ქრისტეს გზაზე თავდადებული სვლით მიიღწევა.

თავის დანიშნულების გამაზრებელი ერი პატივს მიაგებდა სხვა ერებსაც.

**დავით კილასონია** – ქრისტიანობას მტკიცედ იცავდნენ ქართველები, მაგარამ სხვა აღმსარებლობას არ სდევნიდნენ, სხვა რელიგიათა აღმსარებელნიც ღვიძლ შვილებად მიაჩნდათ. ასეა დღესაც... შემწყნარებლობას – სხვისი რწმენის პატივისცემას დიდი ტრადიცია აქვს საქართველოში. თავად პატარა კახი, მეფე ერეკლე მეჩეთშიც ლოცულობდა.

კულტურულ ცხოვრებას ვერ აფერხებდა პოლიტიკური პროცესები: არაბთა ოთხასწლიანი ბატონობის დამამხობელი დავით IV

აღმაშენებელი „ყურანს“ კითხულობდა და არაბ პოეტებს მფარველობდა თავის კარზე. სპარსთა აგრესიას უმკლავებოდნენ ქართველები და თან დიდ სპარსელ პოეტს, ფირდოუსს თარგმნიდნენ.

**ანასტასია გიორხელიძე** – მონამეობრივ ღვაწლს თვით ჩვენი ქვეყნის ისტორიული ბედი ითხოვდა. უცხო რჯულის დამპყრობლის აგრესიისგან იცავდა ქართველი თავის სამშობლოს, რწმენას, თვითმყოფადობას. ქართველი ერის მძიმე ისტორიულმა ხვედრმა განაპირობა მრავალი მონამის ღვაწლი. ადრეულ ხანაში წამებულთა გუნდს შეუერთდნენ სარწმუნოებისა და ქვეყნისათვის თავდადებულნი: დემეტრე მეფე (XIV ს.), ქეთევან დედოფალი, ელიზბარ, შალვა ქსნის ერისთავები და ბიძინა ჩოლოყაშვილი (XVII ს.), ექესი ათასი გარეჯელი ბერი, კირიონ და ამბროსი კათალიკოსები (XX ს.). განა ქართველთა ისტორიულ ხვედრზე არ ქადაგებს IV საუკუნის ბიზანტიელი მოღვაწის გრიგოლ ნოსელის ქადაგება: „სულიერი ზღვა ეკლესიისა მონამეთა სისხლის მდინარეთაგან გმინავდა, ღვართა მარადისი შემატებით ბორგავდა, ზღვის ოხვრას ბაძავდა, კაცთა სასმენელს, ვით კლდეს, ეხეთქებოდა და მისი ზავით სიტყვის ძალას ფარავდა.“

**ნიკა ბროძელი** – დიდი ილია რომელიც თავად ენამა ქვეყნის ერთგულებისთვის, ასე მიმართავდა ქართველ ერს: „ჯვარცმული ღვთისთვის თვით ჯვარცმული და წამებულო!“

ეს პოეტური სტრიქონები ისტორიულ რეალობას გამოხატავს დღეს...

**ლიტერატურა** ადამიანს ცხოვრებას ასწავლის, თვალწინ გადაუშლის სხვადასხვა ეპოქის ადამიანთა სულიერ სამყაროს, მათ ფიქრებს, განცდებს, სევდასა თუ სიხარულს.

**ნატალი რუსიშვილი** – ისმება კითხვა: რატომ ისწავლება იაკობ ხუცესის „შუშანიკის წამება“? აქტუალური ტექსტია. დღეს ჩვენს ქვეყანაში მეტი ვარსკენი გვყავს, ვიდრე – შუშანიკი. დღეს ვინც კარგად ემსახურება სამშობლოს, ქვეყანას, იგი უდიდგოროდაც დიდია(ილია).

\*\*\*  
დრო გადის, თაობები იცვლება. ტექსტი კვლავ აქტუალურია...

მოსწავლეებმა შთამბეჭდავად წარმოადგინეს „**შუშანიკის წამების**“ დოკუმენტური ფილმის ზეპირი ინსცენირება.

## თინა ჩხეიკი.

სკოლა „ივერონის“ ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი.

## შობა - ახალ წელს ბილოცავთ 179-ე სკოლებში!

### მესამე გვერდიდან

ბული; მსოფლიო ჩემპიონი; პროფესიონალური ივენთების გამარჯვებული.

მე-3 დ კლასის მოსწავლე **ლიზი ჩიტიშვილი** (დამრიგებელი – **ეკა კილასონია**) კინგსის ოლიმპიადაში ქართულ ენასა და ლიტერატურაში ოქროს მედალი აქვს, **ანუკი სამხარაძეს** კი ინგლისურში – ოქროს მედალი.

IV კლასის მოსწავლე **საბა არაბული** (დამრიგებელი – **თამარ ნანდოშვილი**) მონაწილეობს ძიუდოს საერთაშორისო თუ ეროვნულ შეჯიბრებებში. **მათე ლეფსვერიძე** ტელევიზია თVჩ (ცომედუ გროუპ)-ის გადაცემა „საქანელა“-ში მონაწილეობს.

IV კლასის მოსწავლეები (დამრიგებელი – **სოფიო ქარბაძე**) ოლიმპიადა „კინგსზე“ წარმატე-

ბით მონაწილეობდნენ **ელენე ჭითავა**, **ელენე ინაური**, **ნინო ლომთაძე**. კინგსის ლიგაში მონაწილეობისათვის მედლით დაჯილდოვდა **ნინო ლომთაძე**. ოლიმპიადა „ევერესტზე“ წარმატებით იასპარეზეს **ზუკა რუსაძემ**, **ნინო ლომთაძემ**, **ანდრია მოდებაძემ**, **ალექსანდრე მოდებაძემ**, **ლილე ჯანიაშვილმა**.

მე-8 კლასის მოსწავლე **ჩაფიძე ჯაბა** (დამრიგებელი – **ლია თხინვალი**) სპორტ ძიუდოში ევროპის ჩემპიონია.

მე-8 კლასის მოსწავლე **ბორისი (ბექა) ფაფიას** (დამრიგებელი – **მანანა ჭონიაშვილი**) პირველი ადგილი აქვს სომხეთის ჩემპიონატზე ბოქსში.

ამავე კლასის მოსწავლე **სოსო ფილაშვილი** ანსამბლ „დიდების“ მოცეკვავეა და დაჯილდოვდა დიპლომით.



ფესტივალი „თბილისურის“ სიგელით დაჯილდოვდა **ანასტასია ქვანახია**.

ბავშვთა და მოზარდთა ნამუშევრების გამოფენაში „მე მინდა, საქართველო მიცნობდეს“ წარმატებით მონაწილეობისათვის სიგელით დაჯილდოვდა **ბარბარე შუბითიძე**.

ახალგაზრდა შემოქმედთა ასოციაციის დიპლომით დაჯილდოვდნენ **ბარბარე** და **მარიამ შუბითიძეები**.

მე-8 კლასის მოსწავლე **ივანაური რეზის** (დამრიგებელი **ლია აბაშიძე**) პირველი ადგილი აქვს ბოქსში.

დებს – მე-7 კლასის მოსწავლე **ანა კახაბერიძეს** (დამრიგებელი **ანა ქვრივიშვილი**), მე-9 კლასის მოსწავლე **მარიამ კახაბერიძეს** (მასწავლებელი **ზოია მათეშვილი**), მე-3 კლასის მოსწავლე **ელენე კახაბერიძეს** (დამრიგებელი **მარინა მინდიაშვილი**) და მე-9 კლასის მოსწავლე **ნინო კახაბერიძეს** (მასწავლებელი **მა-**

**ნანა ჭონიაშვილი**) ოთხი პირველი ადგილი აქვთ მოპოვებული საქართველოს პირველობა აკრობატიკაში.

მე-2 კლასი მოსწავლე **ცოტნე ფანცულაიამ** (დამრიგებელი **მაია ბურდული**) ევერესტის ოქროს ტურში ოქროს სიგელი დაიმსახურა ამავე კლასის მოსწავლე **თომა ბაკაშვილმა**.

სკოლაში ხორციელდება სხვადასხვა სახის სასწავლო პროექტი.

მე-3, მე-7 და მე-8 კლასის მოსწავლეებმა მასწავლებელ **ლიანა სიგუას** ხელმძღვანელობით განახორციელეს პროექტი „აფხაზეთი ჩემი სახლია“.

სკოლის მოსწავლეებმა (მასწავლებელ **თამარ ნანდოშვილი**) განახორციელეს შემოქმედებითი დავალება „სასკოლო ნივთები“ და შექმნეს ლეპუკები.

მე-8 კლასის მოსწავლეებმა მასწავლებელ **ლიანა სიგუას** ხელმძღვანელობით წარ-

მოადგინეს შემოქმედებითი აქტივობა-პიროვნებისა და საზოგადოების ინტერესები, დაამზადეს ლეპუკები.

მე-9 კლასის მოსწავლეებმა მასწავლებელი **ლია აბაშიძის** ხელმძღვანელობით გააცოცხლეს ისტორიული ძეგლები.

IV და IV კლასმა მასწავლებელ **ანა ქვრივიშვილთან** ერთად იმუშავეს შემოქმედებითი დავალებაზე „My სკოლა“.

მეტად იაქტიურეს მასწავლებელ **მაია ბურდულისა** და **თინათინ კონსტანტინიძის** მონაწილეობა, ასევე – **ანა შეყლაშვილისა** და **მზია ელიაძის** აღსაზრდელებმა.

აი, რა მასშტაბური სასწავლო-შემოქმედებითი საქმიანობა ჩქეფს ამ სკოლაში. მრავალფაზიერ! გუგუნებდეს თქვენი ხმა!

**ბორის მიშველაძე**,  
საქ.დამს. უურნალისტი



# მუდამ ძლიერი და მუდამ ლიდერი



იუბილე განსაკუთრებული მოვლენაა. ჰოდა, ვის გაუგონია ისტორიული ექსკურსის გარეშე. ამას, ალბათ, სკოლის დირექტორი გელა ჭანტურია უფრო ვრცლად გააკეთებს. მაგრამ რამდენიმე მომენტს მეც გავიხსენებ: მაშინ 139-ე სკოლაში ვმუშაობდი პედაგოგად. ამ სკოლაში მოღვაწეობდა დირექტორის მოადგილე ბრწყინვალე მათემატიკოსი ნოდარ ფიჩხაია. იგი ამავე თანამდებობაზე 85-ე სკოლაში გადაიყვანეს. მაშინ სკოლას უძღვებოდა დიდი პედაგოგი, ყველა ღირსებით შემკული პიროვნება ისიკო თათუნაშვილი. შემდეგ მოვიდა ახალი თაობა დლი გვრიტიშვილის ხელმძღვანელობით. მხარში ერთგულად ედგნენ შემოქმედებითი მოადგილეები: მზია შერმაზანაშვილი და ნინო ასანიძე, რომელიც 140-ე სკოლაში დირექტორად გადაიყვანეს. დღეს ამ სკოლაში ყველაზე სტა-

უიანი მზია შერმაზანაშვილია. შემდეგ მოვიდა ბატონი გელა ჭანტურია თავისი მდიდარი გამოცდილებით 25-ე სკოლიდან. დანარჩენზე თავად ბატონი გელა ჭანტურია მოგვასხენებს. მე კი იმას დავამატებდი, რომ გელასთან პასუხისმგებლიანი კაცი იშვიათად შემხვედრია. ჰოდა, კიდევაც მალე დაეტყო სკოლას გელა ჭანტურიას ხელწერა.

### რედაქტორი

\*\*\*  
**ყველა ნარმატება ჩვენი ძლიერი კედაგობების დამსახურებაა**

თბილისის 85-ე სკოლა დაარსდა 1964 წელს. სკოლას 60 წლიანი ისტორია აქვს.

2022 წლის იანვრიდან, 2023 წლის ოქტომბრამდე სკოლას ჩაუტარდა სრული რეაბილიტაცია, რომელიც განახორციელა „მუნიციპალური განვითარების ფონდმა“.

სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაატარა კომპანიამ – „ქართული სამუშაო ჯგუფი“: სკოლის ტერიტორიის სრული შემოღობვა; შენობის გამაგრებითი სამუშაოები; ენერჯო ეფექტური თბოიზოლაციით შენობის აღჭურვა; ორივე გარე სპორტული მოედნის სრული რეაბილიტაცია; შიდა სპორტდარბაზისა და სააქტო დარბაზის სრული რეკონსტრუქცია; სრულად ადაპტირებული სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის: პანდუსი, ლიფტი, ადაპტირებული საპირფარეო; განათლების სამინისტრომ აღჭურვა სკოლა ახალი ინვენტარით (მერხი, სკამი, სასკოლო დაფა, კარადა); სკოლა აღიჭურვა ვიდეო-სათვალთვალო

კამერებით, დაიფარა ინტერნეტით; მოეწყო ელექტრონული ბიბლიოთეკა; ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების კაბინეტი, აღიჭურვა ინტერნეტით.

ყოველივე სამუშაოს მოხმარდა 8 (რვა) მილიონი ლარი. სკოლაში 53 კლასია, აქედან პირველი კლასების რაოდენობაა 5 (ნაირა ბედლიძე, თეა ნიკლაური, ქეთევან სიზანიშვილი, სალომე ქველადე).

გელა ჭანტურიას მოადგილეები: მზია შერმაზანაშვილი, მანანა საბეიშვილი, ნამყვანი მასნავლებლის სტატუსით.

სკოლაში დღესდღეობით 25 ნამყვანი მასწავლებელია.

2023-2024 სასწავლი წლის კურსდამთავრებულებს შორის 7 ოქროს მედლის და 3 ვერცხლის მედლის სტატუსითაა წარდგენილი. საბაზო საფეხურის 6 მოსწავლე კი პრეზიდენტის საჩუქრის კანდიდატია.

2024 წელს სკოლამ წარმატებით გაიარა ავტორიზაციის პროცესი.

სემესტრში დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურებზე განხორციელდა მიზნობრივი გასვლითი ღონისძიებები - 63. პრიორიტეტული თემები: კულტურული მემკვიდრეობა, გარემოს დაცვა, ჯანსაღი ცხოვრება, კონფლიქტების მართვა.

მიზნები: კრიტიკული აზროვნების განვითარება, საკუთარი მოსაზ-

რების დასაბუთება არგუმენტებზე დაყრდნობით.

პრობლემის გადაჭრის გზების ძიება და მათგან ეფექტიანის შერჩევა.

შემოქმედებითი აზროვნება, ორიგინალური იდეების გამოვლენა, ხორცშესხმა და ახლის შექმნა.

თანამშრომლობითი უნარების განვითარება.

კომუნიკაცია, სხვისი მოსმენის და გაგების უნარის განვითარება განსხვავებულ გარემოში.

დროსა და სივრცეში ორიენტირება.

დამოუკიდებლად საქმიანობა, აქტივობის დაგეგმვა. მოთხოვნათა გააზრება და შესაბამისი ცოდნის განსაზღვრა.

პასუხისმგებლობა, ნივნიერება, ადამიანის უფლებები.

განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიმართ ჩვენი თხოვნა – მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისთვის ხელშეწყობა, პედაგოგების საჭიროებაზე მორგებული ტრენინგ-მოდულების დაგეგმვა და ამ მიზნით სხვადასხვა პროვაიდერი ორგანიზაციების არსებობა.

ჩვენი რედაქცია უერთდება თქვენს საიუბილეო განწყობილებას და ახალ წარმატებებს გისურვებ!

ასევე გილოცავთ შობა-ახალ წელს!

**ზორის მიჰველაქა**

## ბილოცავთ შობა-ახალ წელს, 67-ე სკოლელებო!

# თქვენი ჯანმრთელობისა ყოფილიყოს!



როცა 67-ე სკოლაზე წერას ვიწყებ, მყის მაგონდება გმირ მფრინავზე სიმღერა: „აქ პირველობდი შრომაში, იქაც ყოფილხარ წინაო!“. როგორ ზედმინევიანი მიესადაგება იგი ამ სკოლის შემოქმედ დირექტორს ნანა ყორყოლიანს.

მკითხველის ცნობისმოყვარეობას ვაკმაყოფილებ: ნანა ყორყოლიანი დედაქალაქის გარეუბნის 216-ე სკოლაში მეთად ნაყოფიერად მუშაობდა ხელმძღვანელად. თავადაც დიდი გამოცდილება შეიძინა და სკოლაც მოწინავე გახადა. ეს შეუმჩნეველი არ დარჩენილა და 67-ე სკოლას ჩაუყენეს სათავეში. ნანა ყორყოლიანი არა მარტო ჩინებული პედაგოგია, არამედ უკეთესი მენეჯერი. მალე დაატყო საკუთარი ხელწერა სკოლას. თავისი მდიდარი გამოცდილება აქ გამოადგა. შეკრა პედაგოგიკური პროფესიონალებით. მას მხარი დაუჭირა გამობრძმედილმა მოადგილე იზა ზარანდიამ და აჰა, ძლიერ მასწავლებლებთან ერთად ჰარმონიულად მოღვაწეობენ. თეორიულ მსჯელობას ყოველთვის სჯობს პრაქტი-



კული სტატისტიკა. ამის შესახებ სკოლიდან აღებული ინფორმაციით ქვემოთ მოგიტხრობთ.

### რედაქტორი

\*\*\*  
**არასდროს გაბვიტხნია პირობა**

ცნობილი გამოთქმა: სიტყვის გატეხას თავის გატეხა სჯობიაო, ზუსტად ამ სკოლის პედაგოგიკური სულისკვეთებას მიესადაგება.

სსიპ ქალაქ თბილისის N67 საჯარო სკოლა – დირექტორი: ნანა ყორყოლიანი – აქტიურად ახორციელებს სასკოლო ცხოვრებას, გასული სასწავლო წელს სკოლამ წარმატებული შედეგებით დაამთავრა, სკოლის მოსწავლეებმა სრულად დაძლიეს სასწავლო პროგრამა. საბაზო საფეხურის ცხრა მოსწავლემ მიიღო „ჩემი პირველი კომპიუტერი“; სკოლის ხუთმა კურსდამთავრებულმა კი ოქროს მედალი და ერთი ვერცხლის მედალი.

სკოლის მოსწავლეები აქტიურად იყვნენ ჩართულები სხ-

ვადასხვა სასკოლო თუ სკოლის გარეთ ჩატარებულ სხვადასხვა ღონისძიებაში და წარმატებულ შედეგებს მიაღწიეს. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის კრწანისის რაიონის გამგეობის მიერ ორგანიზებულ კონკურსში „კალმოსანი“ 67-ე საჯარო სკოლის მოსწავლეებმა: (პედაგოგი: **ბ. ხვედელიძე**) **მარიამ ნიკლაური** – 500 ლარიანი პრემია, **ნინო ხაჭაპურიძე** – 300 ლარიანი პრემია, **კატო ლოხიშვილი** – 150 ლარიანი პრემია მიიღეს.

იოსებ გრიშაშვილის სახელობის სკვერში კრწანისის გამგეობის ორგანიზებით გაიმართა მულტიკულტურული ფესტივალი „ჩემი უბანი“. 67-ე სკოლის მოსწავლეებმა შეასრულეს ებრაული ცეკვა.

სკოლაში დიდი ყურადღება ექცევა სასწავლო პროგრამის თანხვედრას არაფორმალურ განათლებასთან, რაც გამოიხატება მოსწავლეების ინტერესში აქტიურად ჩაერთონ პროექტებით სწავლებაში.



2024-2025 სასწავლო წელს სკოლა დროებით გადავიდა 75-ე საჯარო სკოლაში (სკოლის რეაბილიტაციის გამო), სტუმარი სკოლის სტატუსით. „სტუმრად“ ყოფნისა და სხვადასხვა ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების, სკოლა თავის ტრადიციებს არ ღალატობს:

სპორტისა და ესტეტიკური აღზრდის კათედრამ (ხელმძღვანელი **რ. ხორბალაძე**) ჩაატარა სასკოლო ღონისძიება „შემოდგომა შემოვიდა ჩემს სკოლაში“ ჩვენმა სკოლის მხატვრებმა მოაწყვეს გამოფენა.

საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრამ ჩაატარა კონფერენცია თემაზე: „ჩვენ დავბრუნდებით“ ქალაქ სოხუმის დაცემასთან დაკავშირებით. ღონისძიება „აფაზაზეთო ამორძალი ხარ მკერდმოჭრილი უსაქართველოდ“ (პედაგოგები: **ი. ქენქაძე, ი. ლეიჯილია**) ტრადიციულად ყოველ სას-



წავლო წელს სკოლა მასპინძლობს რეგიონალურ ტურს. საჩვენებელი გაკვეთილები ჩაატარეს: **გიორგი სახელაშვილმა, ვერა აბუხანდაძემ და თამარ ლვედამ-ვილმა**.

კიდევ ბევრი რამ სასიკეთო გაკეთდა, გაკეთდება! ამაზე სხვა დროს ვისაუბრებთ. მაღლობა 75-ე საჯარო სკოლას, რომელმაც შეგიფარათ!

**ზორის კინდელი,**  
ოჩამჩირედან დევნილი

# აი, პინ მოდის მომავლიდან!



ბიგ-ბენდი – „19“  
(ღირიჟორი – სარგო ტყაბლაძე)

ნათქვამია, კაცი მოკვდა, ჯერ თავს მოუკვდა, მერმე – ცოლსა და შვილსაო. მაგრამ არიან ადამიანები მთელ ერს, სამშობლოს, კაცობრიობას რომ უკვდებიან.

სწორედ ერთ-ერთი ასეთ-თავანია კომპოზიტორი, ღირიჟორი და პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე, საქართველოსა და საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი, ლენინური, სტალინური, შოთა რუსთაველის, ალბერტ შვაიციერის პრემიების ლაურეატი, მრავალი ორდენის კავალერი, ვანო სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიის რექტორი, საქართველოს კულტურის მინისტრი, საბჭოთა საქართველოს სახელმწიფო პიმინის ავტორი, თბილისის საპატიო მოქალაქე, მრავალი მუსიკალური ნაწარმოების ავტორი, ჭეშმარიტი მამულიშვილი ბატონი ოთარ თაქთაქიშვილი.

„ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ ვკითხულობთ: „მოღვაწეობა – საზოგადო, საქვეყნო საქმისთვის გაწეული შრომა, მუშაობა, მოქმედება“.

ხელოვნათმადილი სხვა რაღაა თუ არა ოდენ ღვაწლი და მოღვაწეობა!

სწორედ ასეთ პიროვნებებზე იღვა და დგას საქართველო!

და ჩვენი ვალია, ვესათუთოთ ასეთ სახელებს, მოგუაროთ, სათანადო პატივი მივაგოთ, რადგან, რუსთაველის პერიფრაზით, არ დავიწყება მოყმისა, მის შემოქმედებასთან, ღვაწლთან ზიარება სულიერად აგვამაღლებს, სამშობლოსათვის თავგანწირვას ჩაგვინერგავს და ზნეობის გზაზე გვატარებს. აი, ასეთ მაგალითებზე უნდა აღიზარდოს თაობები!

და იზრდებიან კიდევ. ოთარ თაქთაქიშვილის სახელობის თბილისის ხელოვნების მე-19 სკოლაში, სათავეში, რა ხანია, გამოცდილი მუსიკოსი და პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე ბატონი თამაზ მოლაშვილი რომ უდგას, ვისი თაოსნობითაც ამ სასწავლო დაწესებულებაში ყმაწვილების სასიკეთო უამრავი რამ დაინერგა, დიდი მასტროს დაბადებიდან – მე-100, გარდაცვალებიდან – 35-ე და სკოლის დაარსებიდან 65-ე წლისთავი მართლაც საოცარი კონცერტით აღინიშნა და თავისი შემოქმედებით ღირსი პატივით მიაგო დიდი პიროვნების

ხსონას. თუ ბუნებაში ერთნაირად დამუხტული ნაწილაკები განიზილება, განგების ნებით, ერთი გზებით, ერთი მრწამსით, ერთი მისწრაფებით გამსჭვალული ადამიანები დუღაბდებიან და ასევე ერთობლივად მიისწრაფიან მიზნისაკენ.

სწორედ ასეა ხელოვნების მე-19 სკოლაში. მის ყოველ პედაგოგს გასივრძელებული აქვს დიდი მისია – სამშობლოსათვის სულიერად ფაქიზი, მუსიკის ჯადოსნურ სამყაროს ნაზიარები თაობების აღზრდა და სათანადოდ ირჯება კიდევ. ჩვენი გაზეთი მრავალჯერ წერდა სკოლის აღსაზრდელო მიღწევებზე ქვეყნისა თუ საერთაშორისო მუსიკალურ ასპარეზებზე, დიდ ქველმოქ-



ბუნდი (ხელმძღვანელი – თინათინ იმარლიშვილი)

მედებაზე, რასაც სკოლის პედაგოგები ეწოდნენ და ეწვიან სოციალურად დაუცველი, ხელმოკლე ოჯახების შვილებსათვის.

ამჯერად კი სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეს, ქალბატონ თამარ კაპანაძეს მოვუსმინოთ, ვინც გახსნა და წარმართა კონცერტი. თამარ კაპანაძე: „მოგესალმებით, მადლობას მოგახსენებთ მობრძანებისთვის. დღეს თქვენს წინაშე წარსდგება ოთარ თაქთაქიშვილის სახელობის ხელოვნების მე-19 სკოლა, ბატონ თამაზ მოლაშვილის ხელმძღვანელობით.

სკოლა, რომელიც თბილისის პატარა და ღამაზ უბანში, ორხევი მდებარეობს და უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტია ორხევის კულტურული ცენტრია. სკოლა, რომელიც დაარსებისთანავე კონსერვატორიის სამჭედლოდ იქცა. განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ საორკესტრო განყოფილების კურსდამთავრებულთა წარმატებები საქართველოსა და მის საზღვრებს მიღმა. 37 კურსდამთავრებული განაგრძობს მუსიკალურ მოღვაწეობას სხვადასხვა ორკესტრში, „ბიგ-ბენდში“ და ა.შ.

ჩვენ სკოლაში დაფრთხიანდა საქართველოში პირველი ტუბისტი გოგონა – ნინი ჯამურაშვილი, რომლის მიღწევების შესახებ შორეულ ბრაზილიაშიც კი გაიგეს. სასულე ორკესტრის წარმატებებში დიდი ღვაწლი მიუძღვის ბატონ არჩილ ბაკურაძეს. ორკესტრი თანდათან ბიგ-ბენდად ტრანსფორმირდა და, ღირიჟორის, ბატონ სერგო ტყაბლაძის ხელმძღვანელობით, დიდ წარმატებებს მიაღწია, ხოლო 2022 წელს ოქტომბრის ევროპის გამართულ საერთაშორისო ფესტივალში გრან-პრი მოიპოვა. არა მარტო სასულე განყოფილების მოსწავლეები წარმოაჩინენ თავის შემოქმედებას საზღვარგარეთ.

სახვითი ხელოვნების განყოფილების აღსაზრდელები, მასწავლებელ ხათუნა ფაჩულიას მენტორობით, წლების მანძილზე მონაწილეობენ სხვადასხვა კონკურსში ყვეყნის შიგნით და გარეთ. 2024 წლის ზაფხულში საერთაშორისო კონკურსში გამარჯვებული მოსწავლეები და მასწავლებელი დაჯილდოების ცერემონიაზე ჩეხეთში იყვნენ მიწვეულნი.

ასევე უნდა აღვნიშნოთ ქორეოგრაფიული განყოფილების

ანსამბლები – „ციგრიგალა“ (ხელმძღვანელები: ნათია ჩიტაური და ბაქარ ხინთიბიძე) და „გენი“ (ინგა ცანდიშვილი და გენადი ცისკარიშვილი), რომლებიც ინტენსიურ საკონცერტო მოღვაწეობას ეწვიან, ხოლო ანსამბლი ციგრიგალა“ საზღვარგარეთ გასტროლებითვის ემზადება.

სკოლის საფორტეპიანო განყოფილების მოსწავლეები 2005 წლიდან მართავენ კონცერტებს სიმფონიური ორკესტრების თანხლებით თბილისის სხვადასხვა საკონცერტო დარბაზში. მოქმედებს ქართულ ხალხურ საკრავთა ანსამბლი (ხელმძღვანელი – ვანდა ბლიაძე). ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია ვახიაროთ მოსწავლეები ქართულ ფოლკლორს, რაშიც აქტიურად არიან ჩართულნი თეორიული განყოფილების მასწავლებლები.

სკოლა სისტემატურად თანამშრომლობს ორხევის სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებასთან, ვმართავთ კონცერტებს საჯარო სკოლაში, საფორტეპიანო განყოფილების მასწავლებელ თეა გორელიშვილის თაოსნობით, ბაგა-ბადის აღსაზრდელებს ვაცნობთ ჩვენ შემოქმედებას.

დაბოლოს, მინდა დიდი მადლობა გადავუხადო ყველას, ვინც გვერდით გვიდგას მომავალი თაობის აღზრდაში: თბილისის მერიის კულტურის სამსახურს, სამგორის რაიონის გამგებელს ბატონ კახა სამხარაძეს, ფონდ „იანანას“ ხელმძღვანელ ქალბატონ თეა



ქართული ხალხური საკრავების ანსამბლი  
(ხელმძღვანელი – ვანდა ბლიაძე)

ჯორბენაძეს, ოპერის თეატრის ადმინისტრაციას, პირადად ქალბატონ ეკა გელაშვილს.

ახლა კი თქვენს წინაშე წარსდგება „ბიგ-ბენდი – 19“. ღირიჟორი – სერგო ტყაბლაძე და თბილისის „არტპოლში“ კონცერტი დაიწყო.

„ბიგ-ბენდმა 19-მა“ ვანდერის „სუპერშტაინი“, პ. ჩაიკოვსკის „მაკნატუნა“, გ. აზარაშვილის „ტანგო“, ჯ. გერშინის „სამერტაიმი“, ლ. ბონფას „ედვი“, პ. მანჩინის „პიტერგანი“, ჯ. ზავიდელის „ბოიბლენდი“ და ბარიზოს „ბროზოლია“ შეასრულა; გ. ცაბაძის „მეზავრული“, მ. მერაბიშვილის „საქართველო გაბრწყინდება“ გუნდმა დააგუგუნა (ხელმძღვანელი – თინა იმერლიშვილი); მ. მერაბიშვილის „მშობლიური მხარე“ დუეტში: მიხეილ და გაბრიელ ქეშელიშვილებმა შეასრულა (თინა იმერლიშვილი); რ. ლალიძის „სიმღერა მეგობრობაზე“ – ბლოკ-ფლეიტების ანსამბლმა (მასწავლებელი – მარინა ჩხობაძე, კონცერტმისტერი – შორენა ებრაელი); ქ. დაკაძის „ამაპოლა“ – ქეთი ჟორჟოლიანმა (გია ზარნაძე, მანონ ყუბანეიშვილი); მ. დავითაშვილის „მეზავრული“ – გიორგი ბანდურაშვილმა (მელიტა ნარიშკინი, შორენა ებრაელი); ო. თაქთაქიშვილის „შაირობა“ – მარიამ ოთინაშვილმა (რუსუდან გოგავა); ზ. ფალიაშვილის „რაჭული სახუმარო“ – მარიამ წერეთელმა (მარინა ჩხობაძე, შორენა ებრაელი); მ. მერაბიშვილის „მელოდია“ – ჟანა ბაღვაშიანი (ემზარ გვარამაძე, კონცერტმისტერი – ვლადიმერ ზურაბიშვილი); ს. რიმსკი-კორსაკოვის „კელას ფრენა“ – გიორგი ოთინაშვილმა (ნუგზარ ადგიშვილი, შორენა ებრაელი); ო. თაქთაქიშვილის „გაზაფხული“ – მარიამ იარაჯულმა (მასწავლებელი და კონცერტმისტერი – მანონ ყუბანეიშვილი); ზ. ფალიაშვილის „ცანგალას კუპლეტები“ – მიხეილ ქეშელაშვილმა (მელიტა ნარიშკინი, შორენა ებრაელი); ქ. ბიზეს „უვერტიურა“ („კარმენი“) – გურამ მაკასარაშვილმა (მასწავლებელი – გულნაზ ჭელიძე, კონცერტმისტერი – სალომე ტომარაძე); მონტი „ჩარდაში“ – ლაშა სამხარაძემ (მასწავლებელი – ნუგზარ ადგიშვილი,

შორენა ებრაელი); ე. სანტეუსინის „რო-რიტა“ – ნია ებრაელი (გია ზარნაძე, მანონ ყუბანეიშვილი); ო. თაქთაქიშვილის „ფანდურული“ – თეკლა ოჩიგავამ (მასწავლებელი – მარინე გელაშვილი); გელიკეს „საკონცერტო ეტიუდი“ – ნიკოლოზ ვლადიმერ (ემზარ გვარამაძე, ვლადიმერ ზურაბიშვილი); „კავკასიური სატრფიალო“ – ქართულ ხალხურ საკრავთა ანსამბლმა (ვანდა ბლიაძე); ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა „ციგრიგალაში“ – „სადარბაზო“, „აფხაზური“, „მთიულური“ და „აჭარული სანარნარო“ (ხელმძღვანელები – ნათია ჩიტაური და ბაქარ ხინთიბიძე), ხოლო ანსამბლმა „გენა“ – „განდაგანა“ (ინგა ცანდიშვილი, გენადი ცისკარიშვილი).

კონცერტი დასრულდა. მაგრამ გრძელდება ის რეაღივება, სითათოვრე და თავდადება, რასაც ხელოვნების მე-19 სკოლის თითოეული პედაგოგი ყოველდღიურად აქსოვს ყმაწვილების დაოსტატებას, მუსიკის ზეამიტაც სამეგობროსთან საზიარებლად და აუცილებლად ჩამოჰკრავს უამი, როცა ბატონ ოთარ თაქთაქიშვილის დარად მამულიშვილობის მიძმე ტვირთს – სამშობლოს მსახურების ტვირთს, ეს ყმაწვილები შემოიღებენ ზურგზე, ახლა მათზე დადგება საქართველო და ბატონ შოთა ნიშნაინიძის ომახიან შეძახილს: „ჰეი, ვინ მოდის, მანდ, მომავლიდან!“ ასევე ომახიანად გამოეხმაურებიან ეს ყმაწვილები: „ჩვენ მოვდივართ, ჩვენა და ახლა ჩვენ განვავტობთ თქვენს ნაღვაწსა და ნაშრომს“.

P.S. მინცდამაინც ერის ჭეშმარიტ ზეაურ მამებს ნუ შევედრებით. ყოველ ჩვენგანს ძალუქს თავის ადგილზე იმუშავოს ერისა და სამშობლოსათვის და თითო აგური დადოს ქვეყნის აღმშენებლობის ბალავერზე. ხელოვნების მე-19 სკოლის პედაგოგები სწორედ ასე აგურ-აგურ აგებენ იმ ხელთუქმნელ დიდებულ ნაგებობას, სადაც მათი აღსაზრდელების სულელები ფაქიზდება, ძლიერდება და სამშობლოს მსახურებად მზადდება.

კონსტანტინე  
გურგენიძე



ბლოკ-ფიტიზის ანსამბლი  
(მასწავლებელი – მარინა ჩხობაძე)



ანსამბლი „ნიბრიგალა“ (ქორეოგრაფი: ნათია ჩიტაური, ბაქარ ხინთიბიძე)

# ბანახლებული და აღორძინებული



**ნებისმიერი** ერისთვის, მათ შორის ჩვენთვისაც, იმედის მომცემი და ძალა მომავალი თაობა... და თუ ისინი ჯანსაღი ღირებულებებით და თანამედროვე სტანდარტების შესაბამის გარემოში იზრდებიან, ეს ქვეყნის წინსვლის და აღმავლობის საწინდარია... სწორედ, ასეთი გარემოა თბილისის 76-ე ბაგა-ბაღში, რომელიც ორხვეში მდებარეობს და უზნისთვის ერთადერთი და გამორჩეული სკოლამდელი აღზრდის კერაა. საბავშვო ბაღს ამშვენებს დიდი და კეთილმოწყობილი ეზო, წინვოვანი, მარადმწვანე ნარგავები, სპორტული მოედანი და საბავშვო საქანელები.

შენობა გასული საუკუნის 70-იან წლებშია აშენებული, მაგრამ სრულად რეაბილიტირებული და განახლებულია. თბილისის მერიისა და ბაგა-ბაღების სააგენტოს თანადგომითა და დირექტორის **ნატო გაბისიანის** ერთობლივი ძალისხმევით, აქ მართლაც გრანდიოზული სამუშაოები განხორციელდა.

ზაფხულიდან მოყოლებული აქ კაპიტალური სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს და სულ მალე მთლიანად დასრულდება. ქალბატონმა ნატომ განსაკუთრებული პატივისცემით მოიხსენია სააგენტოს დირექტორი ბატონი **კახა აბულაძე**, მისი მოადგილე ქალბატონი **თეა მიროტაძე**, რომელიც ყველა საკითხს ადგილზე მოსვლით, დიდი ინტერესით, გემოვნებით, ბავშვებზე მორგებული სტანდარტის მიხედვით განიხილავდა. ასევე, დიდი წვლილი მიუძღვის ტენდერში გამარჯვებულ „რემონტი 2“-ის სამშენებლო კომპანიის დირექტორს **ნუკრი ბარელაძეს** და მის არაჩვეულებრივ გუნდს, რომლებსაც ამ ხნის განმავლობაში, ერთი დღეც არ დაუტოვებიათ შენობა და თითოეულ დეტალზე, საუკეთესო ვარიანტის შერჩევით, ჩაატარეს სარემონტო სამუშაოები.

საბავშვო ბაღში სტუმრობისას, ბაგა-ბაღის დირექტორმა **ნატო გაბისიანმა**, საგულდაგულოდ დამათვალისწინებინა შენობის თითოეული კუთხე-კუნჭული და სიამაყით აღნიშნა, რომ თავდაუზოგავი შრომის შედეგი სახეზეა, პატარებისთვის ნამდვილი კომფორტია შექმნილი.

სრულად მონესრიგებული ინფრასტრუქტურა, შენობის გარე ფასადი, შიდა ინტერიერი, ფარდა-ჯალუზები, კიბე, დერეფნები, საბავშვო ოთახები, სველი წერტილები, სამზარეულო, სათავსოები, ორი დარბაზი, სპორტული ინვენტარით აღჭურვილი სავარჯიშო სივრცე და სხვა. საბავშვო ბაღში შეიძინეს ყველა საჭირო ინვენტარი, სათამაშოები და თემატური სახელმძღვანელოები. ბაგა-ბაღის მთელი გუნდი, ასაკობრივი ბალანსის დაცვით, ერთ მუშადად არის შეკრული და ერთობლივი ძალისხმევით ემსახურებიან მომავალი თაობის აღზრდას. თანამშრომლები ეტაპობრივად პროფესიული დაოსტატების ტრენინგებს გადიან და ბავშვთა უფლებათა კონვენციითაც ხელმძღვანელობენ.



გაგაცნობთ ამ შესანიშნავ კოლექტივს, ესენი არიან: დირექტორის მოადგილე **მაია მაციმილი**, საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორი **ლალი გორჩიაშვილი**, სამერნეო ნაწილის კოორდინატორი **მანანა გურგენიძე**, ჯანმრთელობისა და ჰიგიენური უზრუნველყოფის კოორდინატორი **მარიამ ცერ-**

განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვი და 65 თანამშრომელია. ამ მრავალრიცხოვან კოლექტივს და სააღმზრდელო პროცესს კარგი მენეჯერი და ხელმძღვანელი შესანიშნავად უძღვებაო – მითხრეს აქაურმა მესვეურებმა. სწორედ რომ ასეა, **ნატო გაბისიანი** უკვე ათი წელია, მუხლჩაუხრელად იღწვის ბაგა-ბაღის აღორძინებისთვის. ამიტომაც, დიდი ავტორიტეტით სარგებლობს და ბავშვებსაც უნარიან მისი დანახვა.

**ნატო გაბისიანი:** სხვადასხვა თემებთან დაკავშირებით, პერიოდულად ტარდება თანამშრომელთა ტრენინგები. სასწავლო პროცესი სულ უფრო იხვეწება და თანამედროვე სტანდარტებს შეესაბამება, მშობელთა ჩართულობას ბაღის ყოველდღიურ ცხოვრებაში კი, უდიდეს



მნიშვნელობას ვანიჭებთ. ჩვენი მიზანია: ადაპტირებული სააღმზრდელო პროგრამის საშუალებით, ბავშვებისთვის მაქსიმალური ცოდნის მიწოდება და სასურველი შედეგების მიღება, ბავშვთა ასაკობრივი განვითარების სახელმწიფო სტანდარტების მიხედვით. წარმატებით ხორციელდება „სასკოლო მზა-



ლების მეთოდი. კვების საკითხი უმაღლეს დონეზეა და ვებელმძღვანელობთ ჰასპის პროგრამით. გვყავს შესანიშნავი მზარეულები: **ლალი ქართველიშვილი, ელზა საყვარელიძე, მზია გელაშვილი, ქეთევან როსტომაშვილი.** ბაგა-ბაღის ავტორიზაციის პროცესს კი- 2027 წელს გავივლით. ბაგა-ბაღის კეთილდღეობაში

მუშაობს, **სოფიო გობრონიძე, ირმა გულიაშვილი, ნინო სინჯიკაშვილი, მზია რევაზიშვილი, ეკატერინე ბარბაქაძე, თამარ ლუგაშვილი, ნაზი ტაბლიაშვილი, ლიანა ფუხაშვილი, მაია კვერნაძე, ნათია ჩიტიაშვილი, ნინო კოტორაშვილი, სოფიო მისიურაძე, ნონა გელაშვილი და ნატო გურგენიძე**, მათ მხარში უდგანან აღმზრდელის



**ცვაძე.** საქმისმწარმოებლები – **ქეთევან ბუჟანიძე, მეგი ბეგიაშვილი, ფსიქოლოგი ნინო ჭინჭარაული, ლოგოპედი ლელა მასხულია, სპეც. პედაგოგები: ანა ბოლქვაძე და ნანა გიუნაშვილი.** ბაგა-ბაღის 11 ჯგუფში 320-მდე აღსაზრდელი, 12 შშმ და



**ბის“** პროგრამა. აღსაზრდელნი ძალიან საინტერესო შემოქმედებით აქტივობებში არიან ჩართულები. ბავშვების უნარების განვითარება ხდება სხვადასხვა ასაკობრივი თამაშების მიხედვით. სააღმზრდელო პროცესში დაინერგა კურიკულუმით სწავ-



პროფესიონალები არიან აღმზრდელნი, რომლებიც პატარებს დედობრივ მზუნველობას არ აკლებენ. ესენი არიან: **ნინო არსოშვილი, მაია გოგოლაძე, ლალი მღებრიშვილი, ფატიმა**

**შუკვანი და მარგალიტა ნაღებაშვილი.** 76-ე ბაგა-ბაღში აღსაზრდელს შემოქმედებით უნარებს უფითარებენ, დისციპლინას ასწავლიან და გემოვნებას უყალიბებენ. ამ მხრივ მადლობას იმსახურებენ მუსიკის პედაგოგები **თეა გორელიშვილი და ირმა ცხვედიანი.** ამჟამად, პატარები სახალხო ლონისძიებისთვის ემზადებიან, შენობა მორთეს სახალხო გორლანდებით, დადგეს ულამაზესი ნაძვის ხე, ბავშვები კი, თოვლის ბაბუას და საჩუქრებს ელოდებიან.



# აქ სადღესასწაულო განწყობაა



**სახალწლო** სამზადისია თბილისის 215-ე ბაგა-ბაღში, სადაც უკვე მორთულია ნაძვის ხე და საბავშვო ოთახებსაც ფერად-ფერადი, სადღესასწაულო გიორგიანდები ამშვენებს. აღსაზრდელები კი, სხვადასხვა აქტივობებით მოემზადნენ ზემისთვის და მოუთმენლად ელიან თოვლის ბაბუასთან შეხვედრას. აქ ბავშვებს, მართლაც, ზღაპრულ სამყაროს უქმნიან და მშობლებიც კმაყოფილები არიან.

– ჩვენი მისიაა, შევქმნათ

ჩვენი აღმზრდელ-პედაგოგები, მუდმივად ერთვებიან კვალიფიკაციის ასამაღლებელ პროექტებში, რომლებსაც სხვადასხვა ინსტიტუტები თუ პროფკავშირები გვთავაზობენ.

ამჟამად, ბაგა-ბაღში 447 აღსაზრდელი და 12 ჯგუფია. თითოეული მათგანისთვის კი, განკუთვნილია 100 კვ. მეტრის ფართი, სველი ნერტილებითა და სასადილო ოთახით, ბავშვებისთვის დიდი სივრცეა როგორც მოსასვენებლად ასევე, სათამაშოდ და სხვადასხვა აქტივობებისთვის. საბავშვო ბაღში, სააგენტოს ხელშეწყობით განახლდა ყველა ინვენტარი და თემატური სახელმძღვანელოები, სახალისო-გასართობი ბუკლეტები, ლოტოები და ასევე, ქართული და უცხოელი მწერლების ზღაპრები, განმავითარებელი სათამაშოები და სააღმზრდელი ნივთები. ბაგა-ბაღში დაინერგა HEART („ჰარტი“- ის) პროგრამა – ბავშვთა ემოციური აღზრდა და განათლება ხელოვნების მეშვეობით.

სხვადასხვა კონკურსებსა თუ პროექტებში. პატარები გაახალისა სამემოდგომო ლონისძიებამ „ფერადი შემოდგომა“. ასევე, ხშირად იმართება სხვადასხვა განმავითარებელი აქტივობები – ნიგნიერების, ხელოვნების და შემეცნებითი კუთხით.

თითოეული აღმზრდელი, სწავლის პროცესში იყენებს ისეთ თანამედროვე და ეფექტურ მეთოდებს, რომელიც ხელს უწყობს ბავშვების გონებრივი და შემოქმედებითი უნარების განვითარებას. „სასკოლო მზაობის“ პროგრამას და სააღმზრდელი პროცესს ხელმძღვანელობს მეთოდისტი **ნანა როსტიაშვილი**, რომელიც მრავალი წელია, წარმატებით უძღვება ბაღის მეთოდოლოგიურად გამართულ საქმიანობას, მას მხარში უდგას თანაშემწე **აიდა გოძიაშვილი**, რომელიც საგანმანათლებლო გარემოს ორგანიზებითაა დეკავებული. ინკლუზიური განათლების სფეროში კი, დასაქმებულია მალაკვალიფიციური,



გუნდი დიდ როლს ასრულებს საბავშვო ბაღის ინკლუზიური გარემოს უზრუნველყოფაში. მათ მიერ დაგეგმილი სხვადასხვა ღონისძიება თუ აქტივობა მიმარ-



მასშტაბური შემოქმედებითი აქტივობები იმართება. აქ ბავშვებს ცეკვისა და სიმღერის გაკვეთილებს უტარებენ – ქორეოგრაფი **მერაბ ობოლაძე**, მუსიკოსები: **ლია ლალიაშვილი** და **თამარ კობლაძე**.



უსაფრთხო და ბავშვის კეთილდღეობაზე ორიენტირებული გარემო, რომელიც ხელს შეუწყობს აღსაზრდელებში ცხოვრებისა და სწავლისათვის საჭირო უნარების განვითარებას – აცხადებს ბაგა-ბაღის დირექტორი **რუსუდან ცხვარაძე-ბირკაია**, რომელიც უკვე მრავალი წელია, თავდაუზოგავად იღწვის საბავშვო ბაღის კეთილდღეობისთვის. ღვაწლმოსილი პედაგოგი პროფესიით ისტორიკოსია და მრავალი წელი სკოლის დირექტორი გახლდათ, ხოლო 2017 წლიდან 215-ე ბაგა-ბაღს ხელმძღვანელობს.



**რუსუდან ცხვარაძე-ბირკაია:** სასწავლო წელი დავიწყეთ ახალ გარემონტებულ შენობაში. გასული წლის ზაფხულის პერიოდში, მერიის და ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს ხელმძღვანელის **კახა აბულაძის** გადამწყვეტილებით, ბაგა-ბაღში განხორციელდა გრანდიოზული პროექტი, სადაც ჩატარდა შენობის სრული რეაბილიტაცია და გარე ფასადის რეკონსტრუქცია. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია, სამუშაოს შესრულების პროცესში ბატონი კახას თანადგომა და გულისხმიერება. ყოველკვირეულ მონიტორინგს ახორციელებდა, ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს დირექტორის მოადგილე **თეა მიროტაძე**. ასე რომ, მართლაც სერიოზული პროექტი განხორციელდა. ეზოს უკანა მხარეს დამონტაჟდა სპორტული მოედანი, ორი ფანჯატური და დაიდგა ახალი სათამაშო ატრაქციონები. 2025 წლის დასაწყისისათვის კი, „ისნის“ გამგეობა მთელი ეზოს მოპირკეთებას და ასფალტის საფარის შეცვლას გეგმობდა.

საბავშვო ბაღი დაკომპლექტებულია პროფესიონალი აღმზრდელებით. ესენია: **მზია ნუცუბიძე, ლალი სალთხუციშვილი, ნონა შულღიაშვილი, ნინო ყანადაშვილი, მაია ძამაშვილი, ნინო ქავთარაძე, თეა სარიშვილი, მაია მიგრიაული, ნანა ბოლაშვილი, ნინო ჩაჩანიძე, თეა ლემონჯავა და ია ტვილიანი**. მათ მხარში უდგანან აღმზრდელის თანაშემწეები: **მერი ქობულაშვილი, ნინო სალინაძე, თამუნა მეზრიშვილი, ქეთევან მელქაძე, სოფო ზანძავა, თეონა ხელაია, გვანცა ხუხუა, ბელა სონგულია, სოფო ჯანელიძე, ნინო სოზიაშვილი, თამარ გოგორიშვილი, მაია როსტომაშვილი, ბელა რურუა, ნარგიზი დუმბაძე, თამილა დავითაძე, გაიანე მანავლიშვილი, ალა კამალიანი, მზია ზირაქიშვილი, ია ჯინჭარაძე, ნინო გელაშვილი**.

კომპეტენტური პედაგოგების წყალობით, საბავშვო ბაღში, სააღმზრდელი პროცესი მალალდონეზე მიმდინარეობს და აღსაზრდელები ჩართულები არიან

ტრენინგავალი სპეც. პედაგოგები: **თეა თაყნიაშვილი, რუსუდან გვარამაძე და ნანა მელაძე**. ფსიქოლოგი **ნინო ნადირაშვილი**, ლოგოპედები: **ხათუნა კიკნაძე და ია თეთვაძე**. ეს კომპეტენტური

თულია მშობელთა ინფორმირებულობისა და მიმღებლობის გაზრდისათვის,

215-ე ბაგა-ბაღში, პატარებისთვის დიდი და კეთილმოწყობილი დარბაზია, სადაც



ანანო სამელია

# შობა-ახალ წელს გილოცავთ!



*ადრე ეს სკოლა ინტერნაციონალური იყო. მეტად რთულია მრავალფეროვან სკოლაში მუშაობა. თითქმის ოცი წელია სასწავლო პროცესს ნაყოფიერად უძღვება შემოქმედი დირექტორი, ჩვენი გაზეთის უღალატო მეგობარი **თამარ მაჭარაშვილი**. მას მხარს უმშვენებს გამოცდილი მოადგილე, ცნობილი დირექტორის **ჯულიეტა ქარჩავას** ქალიშვილი, **ეკა დათუკიშვილი**. სიტყვა უნდა მივცეთ ქალბატონ **თამარ მაჭარაშვილს**.*



წელს გაიხსნა 4 პირველი კლასი. ქართულ სექტორზე 3 და რუსულ სექტორზე 1. 1ა – ნანა ყარაჯაშვილი, 1ბ – ნათია კუჭაშვილი, 1გ – ლელა ბასილაშვილი, 1დ – ლიზა პეტროსიანი.

ნამყვანი მასწავლებლები არიან: **თამარ მაჭარაშვილი**, ცისანა ლილუაშვილი, თამარ ნათაძე, შორენა ცაბაძე, თეა ქარდავა, სოფიო კაკაჩია, ნანა ყარაჯაშვილი, თამარ ჩიკოიძე. მენტორი მასწავლებელია **თამარ შალაშვილი**.

სკოლას გასულ სასწავლო წელს ჰყავდა 3 ოქროს მედალოსანი: **გვანცა ჭინჭარაული**, **ლუკა ყორღანაშვილი**, **სოფო ცაგარეიშვილი**.

XII კლასი დაამთავრა 27-მა. ერთიანი ეროვნულ გამოცდებზე დარეგისტრირდა 15 და წარმატებით ჩააბარა 15-ივემ. 50% იანი გრანტი მოიპოვა 4-მა.

**ანბანის შემობრძანება** – ღონისძიებები ჩატარეს ქართული სექტორის პირველ კლასებში (დამრიგებლები **ნანა ყარაჯაშვილი**, **ნათია კუჭაშვილი**, **ლელა ბასილაშვილი**).

საშემოდგომო ღონისძიებები დაწყებით კლასებში კლუბ „ავორას“ ინიციატივით მიმდინარეობდა კვირეული, მიძღვნილი თბილისის დღესასწაულთან დაკავშირებით. VII, VIII, IX, X და

XI კლასის მოსწავლეებმა მოამზადეს პრეზენტაციები მიძღვნილი თბილისის დღესასწაულთან დაკავშირებით. კვირეულის ხელმძღვანელები **სოფიო კაკაჩია**, **სალომე ნებიერიძე**, **ლანა ჩადუნელი**.

27 სექტემბერი სოხუმის დაცემის დღეა. საბაზო და საშუალო საფეხურის ყველა კლასებში ჩატარდა ამ დღისადმი მიძღვნილი გაკვეთილები, პრეზენტაციები.

სამოქალაქო განათლების მასწავლებლის, **ლანა ჩადუნელისა** და **სალომე ნებიერიძის** და ამავე სკოლის სოციალური მუშაკების ორგანიზებით ნოემბრის თვეში ჩატარდა ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის შესახებ აქტივობები.



### რედაქტორი

სკოლა ჩართულია სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათმორისი ურთიერთობების ცენტრი (CCIR) პროგრამაში „**EU4 გენდერული თანასწორობა: ერთად სტრუქტურებისა და გენდერული ძალადობის წინააღმდეგ**“. პროგრამა დაფინანსებულია გაეროს ქალთა ფონდის (UN-WOMEN) მიერ და ხორციელდება UNFPA-ის მხარდაჭერით. **სოფიო კაკაჩია**, **ლანა ჩადუნელი**.

სკოლის მე-3ა კლასში ჩატარდა პროექტი სახელწოდებით: „**შეიცანი პროფესია**“, რომელიც მომზადდა ჩართულობითა და მონაწილეობით გაიმართა. პედაგოგი **სალომე ნებიერიძე**.

საჯარო სკოლას ესტუმრა ორბელიანის აკადემია.

ტრენინგს საბაზის აფილირებული ასისტენტი, ლექტორი და ანტიდისკრიმინაციული სამართლის ცენტრის ხელმძღვანელი **ცისია ოქროპირიძე** და საბაზის დოქტორანტი და იურისტი, **თინათინ ფეიქრიშვილი** გაუძღვეს.

სტუმრად მოიწვიეს სულხან საბას უნივერსიტეტის ლექტორი **ცისია ოქროპირიძე** და უნივერსიტეტის წარმომადგენლები. შეხვედრაზე სტუმრებმა ისაუბრეს ადამიანის ძირითად უფლებებზე და მოვალეობებზე.

(სამოქალაქო განათლების მასწავლებლები **სოფიო კაკაჩია**, **ლანა ჩადუნელი**).

ღონისძიება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მიმართ რამდენად ცდილობს სახელმწიფო მათ დახმარებას და მათთვის საცხოვრებელი პირო-

ბების შემსუბუქებას, (პედაგოგი – **სალომე ნებიერიძე**).

**ტასო ლოსაბერიძემ** ჩვენი სკოლის მოსწავლეებთან ისაუბრა ამ საკითხების შესახებ.

გაიმართა ინტელექტუალური თამაში „**ცივების ბრძოლა**“-ის პირველი ეტაპი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ქართული სექტორის მეოთხე კლასის სამივე პარალელის მოსწავლეებმა. (კლასის დამრიგებლები: **ნანა ყარაჯაშვილი**, **ნათია კუჭაშვილი**, **ლია ადუაშვილი**).

**ექსკურსია ვეროზის უნივერსიტეტში** გაეცნენ საბაკალავრო პროგრამებს, ასევე მოინახულეს სასწავლებლის ლაბორატორია. (პედაგოგი – **შორენა ცაბაძე**).

გაიმართა პროექტი „**სოციალური მენარმეობის მნიშვნელობა ადამიანების ცხოვრებაში**“, რომელიც განკუთვნილი იყო IX-XI კლასის მოსწავლეებისათვის. **სალომე ნებიერიძე**, **ლანა ჩადუნელი**, **სოფიო კაკაჩია**.

კიდევ ბევრი რამ გაკეთდა მოსწავლეთა სასიკეთოდ. აქედანაც კარგად ჩანს ამ სკოლის სასიცოცხლო მაჯისცემა. კიდევ ბევრი სასახლო ახალგაზრდა გამოზარდე, ჩვენო სკოლა!

ბორის კინდელი

## 165-ე სკოლას – კომფორტული უნოვა

# დიდი მადლობა მთავრობას!



### მთავრობის მზრუნველობას თავდადებული შრომითი პუპასუხებით

თბილისის 165-ე საჯარო სკოლა სასწავლო წლის დაწყებისათვის დიდი პასუხისმგებლობითა და სიხარულით ემზადებოდა. თანაოდან ჩვენი სკოლისათვის 2024-2025 სასწავლო წელი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო, სკოლაში დასრულდა სარეაბილიტაციო სამუშაოები და ახალი სასწავლო წელი განვახალხეთ რეაბილიტირებულ შენობაში, სა-

დაც ორი პარალელური პირველი კლასი მივიღეთ.

გასული სასწავლო წლები ჩვენი სკოლისათვის დიდი გამოწვევა იყო, სკოლა ფუნქციონირებს განაგრძობდა სხვადასხვა სკოლის ალტერნატიულ ფართში. რაც თითოეული ჩვენგანისთვის დიდ სირთულეს წარმოადგენდა. მაგრამ ამ გადამოსახედიდან ვფიქრობთ, რომ ამ გამოწვევასაც წარმატებით გავართვით თავი და მიუხედავად ყველა სირთულისა ბავშვებს ყველანაირ პირობებს ვუქმნიდით, რომ რამე სიახლეს არ ჩამორჩენილიყვნენ.

პირველ რიგში გვინდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენი სკოლის

*გაიხარეს მოსწავლეებმა, მშობლებმა, პედაგოგებმა, დირექტორმა **მაია ჯაბაურმა**, მოადგილე **ხათუნა იოსელიანმა**. „არის – ასრულდა ოცნება! ჩვენი გაზეთის რედაქცია გილოცავთ და გულწრფელად იზიარებს თქვენს სიხარულს, კოლეგებო, ალტაცება დიდია, ამ პათეტიკის შესატყვისი: „სიმებს ცეცხლი ეკიდება, ამ სიხარულს, ნეტავ, რა სჯობს, შენ სალამი, შენ დიდება, ამ ჩვენს სკოლას გაუმარჯოს!“ – რომელი პოეტის სტრიქონებია ეს, ფილოგოგებმა გაიხსენონ. ორიოდ სიტყვას მეც ვიტყვი: დიდი ხანია ვიცნობ **მაია ჯაბაურს**, როგორც დიდ დირექტორს, დიდ პედაგოგს, ჩვენი გაზეთის ქომავს. ბედნიერები არიან **მაია და ხათუნა**, რადგანაც ძლიერი, მაღალპროფესიონალი მასწავლებლები და მუშაკები ჰყავთ, „გულითა გაუტყებელი, მოუღალავნი მკლავითა“. „მაღლი გფენიათ მარჯვენაზედა!“ ახლა „ძირს სიხარულით დავხედოთ მინას“ და დღევანდელ ცხოვრებაზე ვისაუბროთ სკოლიდან მიღებული ინფორმაციის მიხედვით.*

### რედაქტორი

მასწავლებლები არიან თავისი საქმის პროფესიონალი და ღირსეული ადამიანები, რომლებიც მუდმივად ითვალისწინებენ მოსწავლეების ინტერესთა სფეროს, მათ სურვილებს და მისწარაფებებს. თითოეული მასწავლებელი თამამად უსწორებს თავის ყველა სიახლესა და ახალ გამოწვევებს. ისინი მუდმივად დიდი ენთუზიაზმითა და შემართებით ერთვებიან კარიერული წინსვლის სქემაში. ეს ყველაფერი კი მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს შექმნას ემსახურება. დირექტორი – **მაია ჯაბაური**,

დირექტორის მოადგილე – **ხათუნა იოსელიანი**. მენტორი: **ნანა ნადირაძე**, **ნინო სენიაშვილი**. ნამყვანი: **მაყვალა ალიაშვილი**, **მანანა ლომაძე**, **მაია წონწავა**. სკოლის ხელმძღვანელობისა და პედაგოგიური კოლექტივის მუხლჩაუხრელი შრომა ყველაზე მეტად მაინც კურსდამთავრებულების ეროვნული გამოცდების შედეგებში აისახება ხოლმე. ნელსაც ჩვენმა აბიტურიენტებმა თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწიეს: მათმა უმრავლესობამ გრანტი აიღო და სასურველი უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტი გახდა.

ამ, თითქოსდა მშრალი ინფორმაციის უკან საინტერესო, ოფლგამომდინარე საქმიანობა ჩქეფს. ვიმეორებ, ძლიერი პედაგოგები მოღვაწეობენ ამ სკოლაში. მაღლობა თითოეულ მათგანს შემოქმედებითი რუდუნებისათვის.

„მაშინ იხარებს მწინდავი, ოდეს მოითვლის მტევენებას“. მჯერა, მტევენებს უხვად მოითვლით.

გილოცავ დამდეგ შობა-ახალ წელს!

ბორის მიშველაძე

პედაგოგიკის დოქტორი



# ზრუნვა ბედნიერი ბავშვობისათვის



სკოლამდელი ასაკი ბავშვის აღზრდისა და განვითარების ციკლის უმნიშვნელოვანეს პერიოდს წარმოადგენს. ამ მიზნის წარმატებულად განსახორციელებლად, თბილისის 173-ე ბაგა-ბაღში (დირექტორი მარინე ზალიშვილი) ყველა პირობა შექმნილია.

ბაღში 14 სააღმზრდელო ჯგუფია, რომლებიც სხვადასხვა სივრცეებზე არის დაყოფილი, სადაც მრავალფეროვანი სათამაშოები და გასართობებია, სამაგიდო თამაშები, თოჯინები, მანქანები... იყენებენ ღია მასალას, როგორცაა ბუნებრივი და მეორადი რესურსი. ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, სწორად წარმართავენ სასწავლო პროცესს 2-3 წლიანთა ჯგუფები: აღმზრდელები – ციციწო ზაქარიაშვილი, მაკა

ტატანაშვილი, ნანა ქიმაძე; აღმზრდელების თანაშემწეები – ნათელა ბექაური, შორენა ლურჯუმალიძე, სოფიო ბაიდარაშვილი, თეონა ჭრელაშვილი, ელზა ჯავახიშვილი, ელისო ძნელაძე; 3-4 წლიანთა ჯგუფები: აღმზრდელები – თამარიკო ქვლივიძე, ვალიდა მგალობლიშვილი, თამუნა ლეთოლიანი, ლია მარუაშვილი; აღმზრდელების თანაშემწეები – ელზა მღებრიშვილი, მარეხი მერებაშვილი, თამარ საბაური, ლილა აბაშიძე, მარიამ ლორთქიფანიძე, ლალი ლომსაძე, ინოლა ხუნწარია; 4-5 წლიანთა ჯგუფები: აღმზრდელები – ია გასიშვილი, მზევინარ კასპელაშვილი, ნანა მესხი; აღმზრდელების თანაშემწეები – ნატალია გორგაძე, მაყვალა ესართია, ნათია ნიკლაური, მანანა თათარაშვილი;

ბაღში ზედმინევენით ასრულებენ სასკოლო მზაობის პროგრამის ძირითად მიზნებს, აღსაზრდელებს ეხმარებიან შემოქმედებითი აზროვნების განვითარებაში, პირველი კლასის მოსწავლის მიმართ არსებული მოლოდინებისა და გამოწვევებისათვის, უქმნიან პოზიტიურ განწყობას სწავლისადმი; 5-6 წლიანთა ჯგუფები: აღმზრდელები – ეკა გაზარია, თინათინ თეგეტაშვილი, მაია გოგია, ხათუნი ჯიშკარიანი; აღმზრდელების თანაშემწეები: ნუნუ ნათუნაძე, ნანა მერებაშვილი, ნუნუ რეხვიაშვილი, ნინო ციციანაშვილი, მაია ქსოვრელი, მარიამ დავითიანი, ინგა ვაშაძე, ქეთევან მანგოშვილი; წლის ბოლოს კი აწყობენ ღონისძიებას „მე სკოლაში მივდივარ.“

პატარებისთვის კომფორტული და უსაფრთხო ფიზიკური გარემოს შექმნაში საკუთარი წვლილი შეაქვთ: დირექტორის მოადგილე ნინო გურგენაშვილი, დირექტორის თანაშემწე ნატო მამულაშვილს, ბუღალტერ ზეინაბ ჭანკოტაძეს, იურისტ სოფიკო ნიკოლაძეს, სამეურნეო ნაწილის კოორდინატორ ეთერ გიორგაძეს, საქმის მწარმოებლებს – ნათია ზაქარიაშვილს, ბელა სირაძეს; ჯანმრთელობისა და სიგიჟური უზრუნველყოფის კოორდინატორებს – თამარ კრაველიძეს და თამარ ბუტიკიშვილს;

ბაღში პრიორიტეტი აღსაზრდელების პოლისტური განვითარებაა. ეს არის სწავლის პროცესი, რომელიც მოიცავს ინდივიდუალურ ფიზიკურ, სულიერ, სოციალურ, ემოციურ ზრდას. ამ ყველაფერს, აღმზრდელებთან ერთად, სწორად წარმართავენ: საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორები – ქეთევან კახაძე, ნატო ულრელიძე; თანაშემწეები – ირინე საგანელიძე, ზეინაბ საათაშვილი; ფსიქოლოგები:



მაია რამაზაშვილი, ქეთევან ესართია, ანა ჯაშო, ლოგოპედი ცისანა კილაძე, სპეც. პედაგოგები – თამილა ქისტაური, ნათია ასლანიკაშვილი, ლალი ჯიშკარიანი, მერი მერებაშვილი; შექმნილია ინკლუზიური საგანმანათლებლო გარემო.

წლის განმავლობაში ტარდება სხვადასხვა აქტივობები, ღონისძიებები, საახალწლო კარნავალი, დედის, დედამინის, ნიგნის კითხვის დღეები, რომლებსაც მუსიკალურად აფორმებენ მუსიკისა და ცეკვის პედაგოგები: მარიამ სიფრაშვილი, ნატო ქარჩავა, ჯანო თითირაშვილი;

კალორაჟის სრული დაცვით, ხარისხიან და გემრიელ კერძებს ამზადებენ მზარეულები: თამარ ბორცვაძე, თინათინ გაგნიძე, ნინო მანისაშვილი, ხათუნა შათირიშვილი, ირინე გოდერძიშვილი;

ფიზიკური გარემოს მოწყობის დროს გათვალისწინებული აქვთ ბავშვის განვითარებისთვის საჭირო ყველა სტანდარტი, რომელზეც ზრუნავს ტექნიკური პერსონალი: მარინე გელაშვილი, მირანდა კომახიძე, ლია თოდუა, თამარ მარიამიძე, ნათია რამიშვილი, თამარ რეკვაია, შორენა ჯოხაძე, ლეილა საბაშვილი, ნინო ქიმაძე, ლენა ბებურიძე, მანანა ბიზიკაშვილი, ნინო ლომსაძე, დარეჯან ლომსაძე, ვაჟა ჩალაძე, შმაგი თუთბერიძე, ვასილ პატარქალაშვილი;

ამჟამად, უფროსები საახალწლო სამზადისში არიან, პატარები კი – თოვლის ბაბუისა და საჩუქრების მოლოდინში. ბედნიერი ახალი წელი გვისურვებია.

## ნათია გუგუნავა



## მე-60 ბაღი

# დაუღალავი შრომით წარმატებისკენ



ბავშვის განვითარებისთვის საჭირო გარემოს შექმნა, მისი პიროვნებად ჩამოყალიბების საფუძველია. ის სივრცე კი, სადაც პატარებს მიუხარიათ, წლების მანძილზე დაუღალავი შრომის შედეგად მიღწეული. თბილისის მე-60 ბაგა-ბაღში (დირექტორი მარინე სამსონიძე) ეტაპობრივად მოწესრიგდა ინფრასტრუქტურა, მაღალია მუშ-

აობის შინაარსობრივი მხარე. აღსაზრდელებისთვის შესაფერისი სივრცე-გარემოს შექმნაში დირექტორის საიმედო დასაყრდენი არიან: დირექტორის მოადგილე თინათინ ფიცხელაური, საქმის მწარმოებლები – დალი ნიაური, ქეთევან ანდლულაძე, საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორი – ნინო ბიაშვილი;

ახალ მიდგომებს წარმატებით აყენენ და აქტიურად არის ჩართული სასწავლო პროცესში მულტიდისციპლინარული ჯგუფი: ფსიქოლოგები – ირინე ცხიძე, მაია ჟორჯოლიანი, ლოგოპედეტი – მზია სტეფილია, ქეთევან ხუცურაული, სპეც. პედაგოგები – შორენა გოცირიძე, თამილა ჯოხაძე-გუგუშიძე, ირმა კუპაბაძე.

სასწავლო-სააღმზრდელო პროცესს, ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით

საუკეთესოდ წარმართავენ აღმზრდელები: ქეთევან პაპოშვილი, ციალა მახარობლიშვილი, მზია ორჯონიკიძე, ციალა ჩალიგავა, დიანა შარიქაძე, ჯულიეტა სოხაძე, გიული ბარნაბიშვილი, ფატიმა ოდიშარია, ნათია ხუნაშვილი, ირმა გოგიბერიძე, თამარ სოიტაშვილი, თამარ ნინიაშვილი, ხათუნა ქართველიშვილი, მაია მახაჭაშვილი, ქეთევან სამხარაძე, ლამარა ბაქრაძე;

თითოეულ პატარას ზრუნვას არ აკლებენ აღმზრდელების თანაშემწეები: ლუდა ფარსადანიშვილი, ლაურა ლიჩელი, სოფიო ჯოლია, ნინო კუსიანი, ანასტასია ლევერაშვილი, მაკა ხაჩიური, ლენა ხუდოევა, ზაირა გედევანიშვილი, ლელა კანდელაკი, მთვარისა ობოლაძე, ნინო გიორგობიანი, ეკატერინე ოდელაძე, ნაზირი-ლა ოგბაძე, ნონა ხერგიანი,

მანოლი ღვინაძე, ნინო გენებაშვილი, იზა ბოლქვაძე, სოფიო მანაიძე, ეკატერინე ბასილიძე, ნინო შამანაური, მირანდა სირბილაძე, თამარ მაისურაძე, მაია ადღომელაშვილი, ირმა ირემაშვილი, ლელა კბილიანიშვილი, ელენე ხეოშვილი, ანა გრიგალაშვილი, ნონა კაპანაძე;

ჯგუფებში ჩატარებულ აქტივობებსა თუ ღონისძიებებს მუსიკალურად აფორმებენ მუსიკისა და ცეკვის პედაგოგები: ლედი ლორია, ქეთევან ზუბიაშვილი, მანანა მამალაძე;

დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები, რომლებსაც მუდმივად აკონტროლებენ ექთნები – ქეთევან კახობერაშვილი, ნინო მუხიგულაშვილი, მაკა კაციაშვილი.

ბაღის მოვლა-პატრონობა და სისუფთავეზე ზრუნავს ტექნიკური პერსონალი: მზია

ჭანკოტაძე, თამარ როხვაძე, მანანა ქაჩლიშვილი, ციციწო მილაძე, ლანა გუბელაძე, დარეჯან ივანიშვილი, ციალა პეტროსიანი, ქეთევან გეგეკორი, თამარ ყუბანეიშვილი, მზია აბუაშვილი, ნანი ქალიაშვილი, ეთერ ბოლქვაძე, ნუნუ ბალაშვილი, ინგა გურგენიშვილი, ნარგიზი ფლენტი, ზაზა მიქელაძე, სერგო ქულუაშვილი, თამარ მინდორაშვილი;

ევგენიური და საიმედო სააღმზრდელო გარემოს შექმნისთვის მუხლჩაუხრებლად შრომობს ბაგა-ბაღის მთელი კოლექტივი, რომელსაც ბედნიერი შობა-ახალი წლის შემობრძანებას ვუსურვებთ.

## ნატა ნაწიშვილი

# ჩვენი სამშობლოს მომავალი



თბილისის 216-ე ბაგა-ბაღში (დირექტორი ანუკი კინძარიშვილი) სწორად და ხარისხიანად წარმართული სასწავლო-სააღმზრდელო პროცესი განსაზღვრავს მის მაღალ მოთხოვნადობასა და მაღლიერ აღსაზრდეთა თუ მომზადებელთა რიცხვს. პროფესიონალ კოლექტივს საკუთარი წვლილი შეაქვს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტების ძირითადი პრინციპების დანერგვაში. ბაგა-ბაღი გლდანის მე-4 მიკრო რაიონში მდებარეობს. მოწვევით მოწვეულია შენობა და მოვლილია ეზო, მოწყობილია სხვადასხვა გასარ-

თობი სივრცე, მათ შორის პატარა საფეხბურთო სივრცეც, სადაც აღსაზრდელები კარგად ერთობიან, დამონტაჟებულია ატრაქციონები. ბაღში 18 სააღმზრდელო ჯგუფია, სადაც პატარები სიხარულით ეუფლებიან მათი განვითარებისთვის საჭირო ყველა მნიშვნელოვან აქტივობასა და უნარ-ჩვევებს. მოწვევით მოწვეულია შიდა ინფრასტრუქტურა. სააღმზრდელო ასაკობრივი ჯგუფები აღიჭურვა შესაბამისი ინვენტარით და სათამაშოებით. მაღალია მუშაობის შინაარსობრივი მხარე. ყოველდღიური აქტივობების, პროექტებისა

თუ პრევენციების მოწყობის პროცესში ჩართულია მულტიდისციპლინარული ჯგუფი და კვალიფიციური აღმზრდელები. გრძელვადიანი მიზნების დასახვასა და მათი მიღწევის გეგმის შედგენაში მშობლებიც აქტიურად მონაწილეობენ. პატარებს დადებითი ემოციებით ავსებენ და მათზე ზრუნავენ აღმზრდელის თანამემნები. ბავშვთა კვებას უზრუნველყოფს ბაღების მართვის სააგენტო, კეთილმოწყობილ სამზარეულოში კი პატარებს უგემრიელესი კერძებით უმასპინძლებიან. აღსაზრდელები ყოველდღიურად არიან ჩართულები

ასაკობრივ აქტივობებში, მრავალფეროვანი თემებით გაჯერებული სახელმძღვანელოებით პროგრამულად მიმდინარეობს სწავლება სასკოლო მზაობის ჯგუფებში. ყოველი სასწავლო წლის ბოლოს კი აღმზრდელები წარმოადგენენ წლიურ ანგარიშს, სხვადასხვა თემაზე ტარდება აქტივობები და ღონისძიებები. ამჟამად, დიდებულ და პატარებზეც საახალწლო ღონისძიებისთვის ემზადებიან. ანუკი კინძარიშვილი: ყოველი დღე პატარების მოფერებით და გულში ჩახუტებით იწყება, ისინი ხომ ჩვენი სამშობლოს მომავალი არიან, ბაღი ცოცხალი

ორგანიზმია, სიყვარულით და რუდუნებით უნდა მიუდგე პატარებთან ურთიერთობას, რომ მათაც შეგიყვარონ. უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენს ყოველ ინოვაციას და წამოწყებას მხარს უჭერს ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო და ქალაქის მერია, რისთვისაც მთელი კოლექტივის სახელით მადლობას ვუხდით მათ. ბედნიერ შობა-ახალ წელს ვუსურვებთ 216-ე ბაგა-ბაღის კოლექტივს, პატარებსა და მათ მომზადებს.

## ნათია გუგუნიანი



## ლიტერატურული გვერდი - ერთი ლექსის ზეიმი



პაპუნა ქვარიანი

### წენავს

მიმშრალია ცრემლი,  
გაბზარულა სარკე,  
არსაიდან ველი  
ჭრილობების სახვევს.

არ ჩამქრალა მაინც  
სულში შენი სახე,  
ეს თავნება ქარი  
წენავს ნისლებს თანხედრს.

ეტმასნება ლაყვარდს  
აღრენილი ფიქრი,  
ელოდება თავსხმას  
ქარაფების ჭირხლი.

ვერ შეკაზმავს ხიბლი  
დაუფინყარ წყენას,  
უთავბოლო ჯიბრი  
კოპებს ცალყბად კერავს.

### ისევ ხვალის

ჩაინვერა მზე და  
ნაპირს სიომ დაჰკრა,  
ვერ იქნა და ვერა,  
ხმას ვერ ვუნყოფ საკრავს.

გაცვეთილი რიტმი  
აიშლება მყისვე,  
კაკტუსების ხიბლი  
იგიჟაჟებს კისერს.

გამაჟრჟოლა - როცა  
აგნიასდა იხვი,  
შეგვიანდა კოცნა,  
დანაოჭდა ფიქრი.

ვერ მიგიხვდი, ვერა,  
ვერ აგიბი მხარი,  
ისევ ხვალის მჯერა,  
რომ გამრთელდეს ბზარი!

### წარტყობს

რადგან გაფრინდი  
მარტო,  
ამ ცივ ნასიმნრში  
ესახლობ...

ეს სიმარტოვე  
ბარტყობს,  
ვერ ვეამბორე  
ტატნობს.

ისევ მომწყურდა  
კენესა,  
ვიქეც ოხუნჯად  
მზესთან.

ისევ ატოკდა  
ნეკნი,  
მადგას სახობზე  
ნერწყვი!

### იქცა

იმ მონატრების  
სხივის შუქურამ,  
უკვდავ დავთრების  
დვრიტად იხუვლა.

რადგან წარსულის  
ექომ იმძლავრა,  
ჩასცრა ფარსული  
ფანდი სიზმარმა.

ამ ათროლოების  
ცეცხლოვან გზნების,  
აგიჟმაჟების  
დულაბით ვთვრები.

ო, განახლების  
ლოგო ირთვება,  
იქცა ტიტრები  
ყოფით ნიმფებად!

### გაკრთა

როცა მრავალჯერ  
მხარი მეცვალა,  
სულის ყავარჯენს  
მანვდის მზექალა.

მანვდის ირიბად,  
საამო თქორით,  
ქეჩოს იბდღვნიდა  
ორლობის ჭორი.

გაკრთა სინათლე  
ჩამწყდარი ბგერის,  
თხრილში მიმათრევს  
ღვარცოფის ჩქერი.

მაინც შენს ჩრდილში  
ვწამლობ სამაშვრალს,  
თვალეები გიშრის  
ა გ ი თ ა მ ა შ დ ა !

### ვითხნი

ძნელად ინრობა  
წუნკი მაზანდა,  
უკმარისობამ  
მიმოათანგა.

ცალყბად გარანდულს,  
რომ ვითხნი სათქმელს,  
ვცდილობ ტარანტულს  
ვუნენო მახე.

ამღვრულ ტალღებს  
მოჰყვება ბარაქა,  
განწყობას ჩასცხებს  
დავიდარაბა.

შ ე ვ ე ხ ე ტ ე ბ ი  
კოსმიურ სივრცეს,  
ღრუბლის ფენთხები  
პეშვს ცრემლით მივსებს.

### ამ ოხვრის

ცა ქუფრით,  
ყანა ძნით,  
მტერს ვუფრთხით  
მარაზმით.

უ ხ ი ა გ  
ზმანებით,  
უ ქ ი ა თ  
ნაკვეთები.

ამ ოხვრის,  
საძაგლის,  
სიმორცხვით  
დავძმარდი.

თუ ენა  
დამეება,  
ამქენჯნავს  
განგება!



რომან მისნიშვილი (კულიჯანოვი)

გზა ზურუსში შესავალი

მზემ გააწითლა ცისა კამარა, თვალთა მომტაცია სხივთა ფერებით, ვხვდავ მერანით მოეპარება, აჩქარებულა ვინმე მხედარი.

იგი მანძილი მალე შემოკლდა, მომიახლოვდა, ჩემს წინ შეჩერდა, მათვალდებურა ხვედრი შემთხვევით, იგი თქმისა თუ არ თქმისა არჩევდა.

ზრდილობიანი, კაცი თამაში საღამო იმან შორით მომიძღვა და გამოძიოთხა საიდან მოველ, მკითხა, ამ გზასა ბოლო სად უჩანს.

თვლი შევაგულე ჩანდა კეთილი, თუმცა მის გრძობას რაღაც წვენივლი მხედარი მშვიდი, იგი სულ-წინარი სახე ფერქოთლად შეფერებოდა.

მე ინტერესმა უმაღ მომიცვა, ვუთხარ, მცირე დრო ჩემთვის დაეყო და ჩემთან ერთად მისი ამბავი მხოლოდ მუხის ხეს, სხვას არ გაეყო.

მახვილი ყური ჩემსკენ დახარა და წინარად მითხრა ეს რატომ კითხე, იგი მხედარი მე გაუარნიე, ვუთხარ, ჩემი თქმით და მივანიშნე.

მან, ცხენზე მჯდომმა დიდხანს იფიქრა, მერე ტყის პირას წამოიძვრა თვითონ, თქმა არ უნდოდა, ასე მონანდა, არც თავხედ ხელი ავიღო ვითომ.

სწრაფად ჩამოხტა იგი ცხენიდან და მხარზედ ხელით დამყრდინო მიმედ, ყოხილი იყო ის შესამჩნევად, ჩანს სამუდამოდ მიიწვეს ტყისკენ.

არა მგონია ვინმე ხვედრთავან ხელის აწევა ვინ გაუბედოს, რომა სიტყვები მისი მანიშნებს ასახე იმან უკან უგემოს.

მითხრა, ტყე არ ვარ და არც ყანაღი, არც ის უბრალო ადამიანი, რომ სიტყვა მრუდე ვერ გაუარნიო, კაცი ვერა ვცნო თავაზიანი.

წამოველ ტყეთა მე საცხოვრებლად, რომ თავი ვიგრძნო მე თავისუფლად, ცხოვრება ჩემი სწორ გზით ვიარო და თავი ჩემი ღმერთს ვუღიარო.

ცხოვრება მძიმე კაცს ვერ დანაგრავს, ვერც გაჭირვება უფულობისა, მხოლოდ ხვედრთავან ბედი უიღბლო იჯახს აშორებს წუთისოფლისგან.

მარტოდ ეს მითხრა და ჩემმა თვალმა მის სუვლიანი მხურა ისახა, ფეხზე წამოვდგა და განმეშორა, რომ დარდი მისი მე არ მენახა.

ბოლოსდა მკითხა, აქეთ სად წავად მე მოვასწავლე იმას ერთი ტყე უნდა ვარა მას იქამდინა მხოლოდ სულ მცირე, მოელი ერთი დღე.

მან სულ ეს მითხრა და განმეშორა თვალთ მიუფარა იგი სულ მალე, მერანის ფლოქვის ხმა მაშინ შეწყდა, როცა გასროლას ყური მივანდე.

ვიჯექი მარტოდ მე გარინდული, ვფიქრობდი, ნეტავ ვინ უნდა იყოს, არც ეშმაკია, არც ეშაკული, იმის გონებას მსგავსი არ იპყრობს.

წამოველ ფეხზე და გავემართე, იქით, საითაც მხედარი გაქრა, ბევრი ვიყურე, ბევრი ვიფიქრე, მაგრამ ხმაური არსად მესმა.

ჩანს, რომ სიბრაზით ჩახმახს გამოპკრა. იგი ხმა მამცნეს მე ამ გორებმა, რაც გულზედ მისწვდა დღეს იმ საბრალოს, ამა სოფლისგან მის განშორება.

ჩაფიქრებული გავეყვი ბილიკს, საით სოფლის გზა მიემართება, თითქოს ჩემ ფიქრმა ნება არ მომცა, მე გზად მიმავალს მისაყვედურა.

რიგით გამეცნო იგი მხედარი, მე დაშორება ბრალად მენიშნა, ისიც ვიფიქრე, იქნებ ტყუილა, იგი ყანადღად ტყეში გაბრბოდა.

მაგრამ მე მისი კიდევ მჯეროდა, სიტყვა ტყვესავით გამოინათქვამის და ინტერესმა ძლიერ მომიცვა, ვიფიქრე, რომა ტყედ მარტოდ არის.

მე ჩემს საქმესთვის არ მიფიქრია, რა მე წავედი ღეჭვითა წერისთვის. იგი პირადი, თვით ამეხანა, რომ მე წავებართო დღეს მოთხრობისთვის.

თავი I

და ერთ მშვენიერ დღეც ინათა, მე იმ ტყისკენაც მიემართები, სად მხედარია იქ გულმოკლე, მსურს იმ მიუბისკენ დავესტო გზები.

სად ის მხედარი მიწას აბიჯებს, იმას თვალეტი ცეცხლად უნათებს, მინდა იმ კაცის გვერდით მეც ვიყო, მსურს მისი დარდი მეც რომ გაეყო.

გრძობით ვეჩვენო იმას ერთგულად, მან თავი იგრძნოს ჩემთან ერთგულად, და ის დრო იგი, ჩვენ იქ ყოფნისას, მძობად ვინიშნოთ მარად ყოფნისა.

თავი II

ბარში საქმე მივატოვე, დღეს მე მღვეარს ვემსგავსები, მე ვიპოვი იგი მხედარს და არასდროს მოვშორდები.

მივახლოვდი მე ბუხართან, იქ მჯდომ დედას ეს ვუთხარი, შევაშინე მას არ სურდა, რომ მე შორით მივიქარა.

და ეს მითხრა, რა კვების, საქმეს შენს წინ დახედრილსა, ღირსეული საქმისათვის, ვერეთ შენით ხელგაწვილსა.

გამაყოლა გზად მიმავალს, ღოცვა იმედი და გრძობა, და პირჯვარი გადამსახა, არ შევედრე ცუდსა ხვედრსა.

გავიარე ველ-მინდვრები, ავიარე აღმართები, დაბურული ტყე გაველიე, დრო მოვიდა დღემების.

გზად შევეჩერდი, ვიყურადე, იქნებ იგი აქ ბინადრობს, რომ ხმაური არსით მესმა, იქ ბილიკი ჩავიარე.

მე შევეჩერდი ტყის ნაპირას, თვლი ირგვლივ მიმოვაგლე, და ვაპირებ დამის თვას, აქ საეჭვო ვერა ვნახე.

მოვაგროვე ხმელი ტოტი, ის ბილიკი მით დავფარე, და ეს დამე მე წყალობით, თავი ღმერთსა შევაბრალებე.

აბრაილდა იქ კოცონი, ისე, როგორც დღის სინათლე, მე ეს დამე ნებად დავეყე, მოსვენებლად ვიბინადრე.

დილით თვალებს მშვიდად ვახელ, ნიავს ღმერთს ვუთხარა, გამიღრმავდა გულში დღევა, მე მღვეარმა შევაფასე.

დღემ მოჰფინა ტყედ სინათლე, მზის სხივები ათამაშდნენ, აჭიკტიკნენ ტყეთ ფრინველნი, ლაღი სტვენით აფრთხილდნენ.

ფიქრი მიხმობს, არ მასვენებს, გზა წინ მიდევს უსათუო, ვფიქრობ ვეში წამოვეარო, თუ გზადგა ვისადილო.

მე ავეჯექი, შევიკაზმე, ვით მერანი გზებზე მფრენი, და გავეყვი გზას იქითკენ, საით გული მიმიქარის.

ამოველი ის ბილიკი, რომელიც იქ ჩავიარე, თვალთა ცქერით გამიტაცა ტყეთ შრიალმა, რაც იქ ვნახე.

და ვიბრინე იქამდინა, ვიდრე ძალა დამეღალა, შევანელებე ნაბიჯები და გავეყვი ტყის პირს წინარად.

შორს დავესტე ტყე და ველი, ვფიქრობ, ვიდრე მერანს ვნახავ, იქნებ იგიც შევართოს, ეს ტყე ვისაც გულში მალავს.

აქ შევეჩერდი, შევიხვეწე, ძლიერ ვიყავ დაქანცული და ძლიერი ხმით გაგახე, არვიან მომცა მე ასუსხი.

მე დავღონდი და ჩაფიქრდი, ის მხედარი სად იქნება, იქნებ აქეთ ის არ არის, აქ უღვევი გზა იქნება.

ღმერთო ჩემო, თვალს არ მეკერთო, ჩემსა გულსა გასახარსა, დავინახე ის მერანი, მშვიდად მოვდა იგი ბალახს.

მე სიამით მიტყვეს გული, თვალთ ირგვლივ გადავაგლე, ვფიქრობ, ისიც აქ იქნება, ვინაც ამ ტყეს მივაბარე.

ახლოს მიველ, ჩაფიქრებულე, მინდა ავივინო ხელი ვახლო, გული მიგრძნობს, თვალთ მიტყვერცხ, ის მხედარი არის ახლოს.

არც ხმა აღარ გამიღია, მოვიხსენი ზურგს სურჯინი, ხმელი ტოტი მოვაგროვე, ვიდრე კიდევ დგას დღის სული.

ტყეს ნიავი ამრიალებს, ფოთოლთ ცვერა ხშირი ისმის, ხმელ ფოთოლთა ხრამ-ხრუშით, იგი მოდის ვისაც ვუცდი.

ცრულ ენიშნა ხილვა ჩემი, გაუწორდა თვალსაზრისით, მიმაყოლა რისთვის მიველ, გამიხარდა დასაფიცო.

ვუთხარ, რომა კაცისთვისა, მოსული ვარ ამ ქვეყანას ავაცილო მძიმე ხვედრი და მძურად მე გიწვი ხელსა.

მე არ მივეარს რომა სხვაზე ვინმე ჭორებს გაუგრძელებს, მივეარს მხოლოდ კაცი კაცზე, რომ სიმართლეს მას მიაგებს.

მე ტყევილად არას გეტყვი და იმასა შევიხანახე, ვინც სიმართლით ქვეყნად დღის, თავის გულში ბნელს არ მალავს.

და გაგარჩევე ყველგან იმას, რა ახრი აქვს არის ვინმე, ტყევილის თქმას ვამჯობინებ, რომ ამ ქვეყნად ის არ იყოს.

მე შეილი მყავს ერთადერთი, რომ მე მისი მაქვს იმედი, და ვიფიცებ იმ პატარას, შენთან მძურად მე მოვედი.

მომისმინა ყურადღებით, სიტყვა ჩემი გადაწონა, მძობა შეუტყობი ერთობისთვის, თვალთ თვალში გამიყარა.

გავანადღე ჩვენ კოცონი, აბრაილდა ცეცხლი მთაში, ტყეთ სინათლე მოეფინა იგი შუქი დღისა მსგავსე.

შემოვსხვითი ცეცხლთან ახლოს, მივანჩე მე სურჯინი, და სურფა ჩვენ გადავშალეთ, ღვთით აღაღად მორთმეული.

და სიწინარე აქ ჩამოწვა, მძიმე ფიქრმა ის მოიცვა, ველოდები მე ამჯერად, როდის იტყვის ის სამღურავს.

თავი მალე წამოსწია, ვგრძნობ, რომ მას აქვს გასამხელი, ვერ იბრუნებს პირში ვნას, სირცხვილსა გრძნობს ამა სოფლით.

მითხრა, ძმობას გვეფიცები, ვერეთ ხელით გამოწვილსა, ვამჯობინე მარტოდ ყოფნა, მე ამ სოფლით ვგრძნობ სირცხვილსა.

რაც რომ თჯახს მიანიშნებს, სიტყვით მამცნო მან დღეატი, რომა ცოლმა თვით სინდისსა აუარა იმან გვერდი.

ამით ტყვესა მიაშურა, გამოშორდა იმ სოფელსა, აქ ვერ უმტრობს მას ვერავინ, თავხედ არვი იღებს ხელსა.

იმან ბინა აქ მონახა, მარტოდ ცხოვრობს ტყედ მხედარი, მან მიავნო ტყეში კვლასა, თავისუფლად სად გრძნობს თავსა.

დრო აქ დავიწო მეუღრობით, ფიქრი, დარდი გადავიაროს, თუმცა საქმემ მფორად თოვა, ჭრილობა ვერ დაიამოს.

შრომას თვას არ ანებებს, დარდი იმით განიქარვოს, უკადრისი არ იკადროს, უკეთუთი ამით ნახოს.

ვფიქრობ, ნეტავ ეს არ ვთქვა და ტყევილი იმას ვთხრო, ანდა, რამე სხვაგვარ საქმე მოეფიქრა და მოეთხრო.

იმას მხედარს ღარნა შეილი, თურმე იმით ასე დათმო, თვარა გულსა გაუხვეტლა, იმას წყენა ვინ მიაგო.

საკმაო დრო ერთად დავვეყვი, კვირა ორი მე იქ დავერჩი, ვიმეგობრეთ ერთმანეთთან, ავიყვანეთ გრძნობა თვალში.

და იგი დრო მოახლოვდა, გადავსტოვე უკან მივბი, გულში ვფიქრობ, ეს როგორ ვთქვა, მოეგრევა თვალში ცრემლი.

და მივეყვი – მეგობარო, მსურს დაგებრუნდე უკან ბარში, განა მე მთლად მივატოვე, დაგებრუნდები მალე მთაში.

და თხოვნა მაქვს მე შენთანა, მსურს მათხოფო შენი რაში, რომა სწრაფად გაგაჭკნო და მე გავენდე მალე ბარში.

და ჩაფიქრდა ის მხედარი, ჩემი ძმა და მეგობარი, დაშორება ჩემი უმძიმეს, გულს გაუნდა სამღურავი.

ჩემთან ხომ არ მოიწვინე, რად იფიქრე წასვლა მალე? ჩემი ერთად ყოფნა მიჯობს, წასვლა რატომ დაანქარე?

მეგობარო, ტყედ შრიალი და სურნელი ამა ტყეთა, არ მოაწყენს კაცსა არდროს, არ ინება ამით ვნება.

სიტყვა ვუთხარ, დავიფიცე, შენთანა ვარ სიკვლილადე, არა, ძმას ვერ მოვშორდები, შენთან ერთად ვიმეგობრებ.

დაგებრუნდები ისევ მალე და მოგიტან შენხედ ამბებს, ჩემი საქმეც მოვიკეთო, მოშობლები მყავს სახლში მარტოდ.

დავეუბარე, რომ სამი დლით თვალს შევაკლებ მე ყველაფერს, უკან მალე დაგებრუნდები, ამბავს ვითხრობ შენს ყველაფერს.

წადი, ჩქარა გაეშურე, წაიქოლე თან მერანი და ერთად გზად შემიხვედრთა, თვალთ მოგკრას მათ ვერავინ.

მოვექციე მერანს ზურგზე, გადმოვლახე მივბი სწრაფად, ველ-მინდვრებზე გაავაჭენე, ვერ მოგკრავდა ვინმე თვალსა.

მალე ბარსა მივაგანე, ვიდრე იყო დაღამება, მოშორებით შევიცადე, რომ არ მოვხვედ ვინმეს თვალთა.

და სიბნელე რომ ჩამოწვა, გავეყვი სოფლის გზასა, მალე სოფელს მივაღვექი, სად სიმშვიდე მჭერთო თვალთა.

ვიწრო ჩხით ჩავიარე, მსურს მანძილი შევიმოკლო, ვიდრე ჩემს სახლს მივაღვექი, ვინმემ თვალთ არ მოვლადროს.

აი, ისიც, ჩემი ეხო, ბავშობიდან აქ ვიზრდები, ტოლები მყავს სახლს მივაღვექი, რა საქმე მაქვს მათ გავანდო.

მივაღვექი ეხოს კარებს, მერანი სწრაფად გადავამლე, ავიბრინე კობეები, ფრთხილად სახლის კარებს ვაღებ.

ოთახში წვეს ღრმად მოხუცი, არ უხუჯავს იმას თვლი, ფიქრი, დარდი არ ახვენებს, ცრემლი იმას უხვენს თვალებს.

იგი სახლში მიმელოდა, ყოველ დლით თუ წუთი წუთსა და ფიქრობდა არ შევეროდი ტყეში რამე ცუდსა ხვედრსა.

შემომხვდა გაუხარდა და განათად დღის გული, რომ უვნებლად მე დაგებრუნდი, ერთადერთი მისი შეილი.

გამოძიოთხა ყველაფერი, მოვეყვი საქმე წვილიად, გიხარა დღის გულმა და მიიღო საკადრისად.

ვუთხარ, რომა მე მოვედი, აქ სამი დღე თქვენთან დავყო, და ისევე მთაში მივაღ, რომ იქ მძობა ვანეახლო.

ვუთხარ, რომა იქ სიმშვიდეს კაცი კაცს ვერ წართმევს, მარტოდ ის რომ თქვენი ნახვის ხილვა არ მაქვს, ვერვინ მაცნობს.

მხოლოდ ერთი მეგობარი, ყოველ დლით ჩემთან არის, სამში ჩემი, მეგობრობა, იგი ჩვენში არ იკარგვის.

ვუთხარ, რომა ჩემს ვაჟაკსა დილით ჩემი გავაღვიძებ, რომ უნემოდ მოუხვედრად დარდით ეხოს დააბიჯებს.

რომ გაეყო ჩემი მისვლა, რა სიხარულს მე მომტყენდა, ამდენი ხნის უნახავსა ცრემლი თვალზედ გამიბრწყინდა.

მოვათავეთ საუბარი, დავულოცე მშვიდი ძილი და კარებში გამოსვლისას გადავსტოვე მათ პირჯვარი.

და ეხოსა გამოვედი, მშვიდად, გონით ვიახროვებ, ვფიქრობ, ეხლა გვიან არის და ცოტას მეც მოვიხვეწებ.

მე ჩემს ოთახს მივაშურე, აუწყარე იქით ფეხსა, სიბნელეში ჩავიძირე, თავი მივეც ძილსა მშვიდსა.

დილით ყურთა მე ჩამეხმის, კარზე აკაკუნებს ვინმე, და ჩაფიქრდი შორის ჭერეტი, ალბათ მოსვლა ემცნო ვინმეს.

კარი გავეღე და ვხვდავ, ვერ მივაგე უცებ სიტყვა, იგი იყო ვინ ამ დამით, ტბილი ძილით რომ ეძინა.

დამინახა, შემოვარდა, სწრაფად ყელზე მიმეხვია,

ლიტერატურული გვერდი – კოემა

მეთორმეტე გვერდიდან

გამომკითხა, ამდენი დრო რატომ მთვებში დამიფიქსია.

მოვეყვები შორს წასულმა მთები როგორ გადავალახე. ეუთხარი, რომ ყველა დამეღია ცის ქვეშ გაათუნე.

ვისაუბრებ, ვისადილეო, მე და იმ პატარა ბიჭმა, გამოვედით ჩვენს ეზოში, მივეც საქმე დავალეხება.

ნახა ჩემი მეგობრები, რა გაანდო დავალეხება, რომ ამ დროში ვერ ვეტიკვი, უნდა საქმეს აჩვენებდა.

მორბინეს ეს სოფელი, შორით დავეყვით იმთ გზები. დაბრუნებისას მიაბეჭეს იმ მხედარის განსაცდელი.

შვეიცარი იგი ხალხის საქმე იმთ ჩაფიქრის გაგვიტყვი რომ რისთვისა მხედარია განდევნილი.

და მხედარმა არვის ცოდვა მის ძირს დარდით თვარა პასუხს მიაგებდა, მოლაღატეს იგი ჯავრით.

გამოშორდა იმ სოფელსა, სად თავი გრძობ დამცირებდა, რომა თვისი მომავლის იმედი აქვს ამაღ გრძობდა.

რომ თავისით იგი შეილი რა მიხედვება იმას როცა, ვინ მიაგო მძიმედ ხეგდრი, თავი ამცნო დამცირებდა.

და მე იქით გავემართე, საით გრძობა მიმჩქარის, საით მამის გულის ცემის ხმა ვისმინე განსაცდელის.

მივადექით იმ სოფელსა მე და ჩემი მეგობარი, თავი გამცნე მე იმ ხალხსა და გაეუხი მომღურავი.

იქ შეგროვდნენ მუხობლები ამბავი სცნეს საიმედოდ, ზოგს ხალხის ზავსახათ, ზოგს კი ფერი ცუდად ედოთ.

აღიბეჭდა დედის გული, მამის გული მონატრული, არასწორი ამხნევი იქ ნაბიჯი გადადგმული.

წერილები მათ გადმოძვეს, სიტყვა გამატანეს ხეაღის, ვფიქრობ, დროში ვერ ვეტიკვი, რომ მე გაეჩნდე ხეად დილაძლის.

მშვილად სიტყვა მათ მივაგე, მისი შეილი დაძაბული, მხოლოდ უნდა ყურადღება იგი ჯავრით ვით მისჯილი.

თავი III

გზა უკან დავუყვები სასწრაფოდ, მეგობარს სიტყვა ვუთხარი, რომა აცნობის ჩემს ოჯახს, საქმე გამიხნდა პირადი.

მე მივაშურე მთებისკენ, დრო იყო ძალზედ მცირედი, ფიქრი და გრძობა თან მიმაქვს, იმა მხედარის იმედით.

მიპქრის მერანი და მიმაქროლებს, მიმეჩქარება მხედართან დღესა, ვფიქრობ, რომ მნახავს გაუკვირდება, რომა ორი დღით ვიკამარე წასვლა.

მიპქრის მერანი დაუღალაუად, მე მოსვენებას არ ვაძლევ რადგან, მინდა მივასწრო გათუნებად, სად მხედარია დადლილი ძალთან.

და დაღამებამ შორით მომიწწრო, სინებულე გაწვა ამრიგად მთებში, მიპქრის მერანი და მიმაქროლებს, მე მაქვს იმედი მერანის გრძობის.

რომ სადმე იგი არ გადამხეხავს, მჯერა, რომ მერანს აქვს გრძობა ამის, იმისთვის ფართო არ მიყვარს გზები, იმედი ამის მე მრჩება გრძობის.

მივექანები მე სიბნელეში, ფიქრი მაწუხებს მე ამაღ გრძობად, როცა მხედარსა წერილებს მივეცემ, დამართება მას თვალთა კედლომ.

რომ სიბრაღელსა წერილით ხატავს, ვინაც წერილი სასწრაფოდ წერა, რა აღუნიშნა მან სიბრაღელი, ცრემლით ფურცლები რომ დაასველა.

ატირებულა იგი ხევრთაგან, ამით მხედარსა სურვილებს უთელის, რომა დრო დაჟყოს იქით წასვლისა, მისი მნახველი რომ გახდეს წუთით.

და მტრედის ფერად ცა შეიფერა, თვალთა მენიშნა მე გათუნება, პა, ცოტა კიდევ მანძილი დამრჩა, რომა მივიდე მე იქამდინა.

სად მხედარია იქ გულმოკლეული, ბედმა საგრძობლად იმას დასძინა, იგი მშრომელი მეტად კეთილი მე ის მომელის, იმას არ სძინავს.

საკვირველია დღეს ჩემი მისვლა, იგი პირველი მე თვალს შემეკლებს, მხოლოდ სამი დღით მოეშორდა მხედარს, სამი დღე მშვეტიკე მე იქ მისვალამდე.

და ის მინდორიც აქვე გამიხნდა, სად იმ მხედარმა აღვიღეს მიაგნო, სად სიწყარება გრძობის სიმშვიდესა, გრძობას პასუხი ვერეთ მიაგო.

ეტყობა შორით მან თვალის მომკრა, იგი ყურმახვილს ხმაური ესმა, რომ მინიშნება არა ემცნო მას, გაკვირვებული უსიტყვოდ იღვა.

და ჩემს მობილსა მე მივესალმე, პასუხად იგიე მიბრუნა უკან, ვუთხარ, მე რანიც შენა გყოლია, რომ მცირე დროში მე მიველ შენთან.

ვით მასინძელი თვითონ წარმიძევა, სად კოცონისა დღეს მუგუხალი, თითქოს ის მისით დავალეხებულა, სად სტუმარს ელის ის გამუდმებით.

თავი IV

გრძობამ ერთ წამს დამაზნია, პირველი ვარ სიტყვის მოქმელი, ჩანს მხედარი ლოდინს ირჩევს, ჯერეთ ჩემგან სიტყვას ელის.

ვუთხარ, ჩემო მეგობარო, ძალიან ნუ აჩქარდები, სახუგეშო ეს არ არის, მხოლოდ დღეს გზას გაუდგები.

რომ ეახლო შეილსას შენსას, გრძობა დღესის დაუამო, ანუგეშო მისი გული, ფიქრი მძიმე გადითვაროს.

წერილები გადავეცი, წაითხა ჩქარა ყველა, მითხრა, ესა მე ვიცოდი, ემღურვიდა იმ დღეს ყველა.

ეს ადგილი არვინ იცის, მოვაშურე თუ ამ ტყესა, იგი გულთ დაწვეტილინი, შორით ისმის მათი კენება.

მითხრო ჩემო მეგობარო, მე დილაძლე იქ გაეჩნდები, დავამშვიდე მე იქ მყოფთა, მხოლოდ სად ვარ არვის ვეტიკვი.

გულმა აღარ მოუთმინა, არც ლოდინი განუხრახავს, შეაფრინდა იგი მერანს, და პაერში ააღაგმა.

თვალთა ყურება და ცქერა მხედარმა რაში რა ააღლევა, მისწვდა ადვირს და რაში უმაღ, მწვანე მინდორში რა გააკროლა.

თავი V

მარტოდ დაერნი მე ამ ტყესა, გულში ჯავრმა გამოეღვა, ვფიქრობ, რამ ვარ შეუმთხვას, მას არ უთქვამს როდის მოვა.

დამიღამდა მე ეს დამე, მოსვენება დამეკარგა, სწორად ეხლა თვალის მოვეკარ, ფაცხა ქოხი მოუქარგავს.

უშრომია იმ მხედარსა, მოუქარგავს ფაცხა ქოხი, ლამაზია ის შეხედვით, იგი მისი სახელი, ჰკერი.

დგას მინდორის განაპირას, იფერება მწვანე ფერით, ადვილად არ შეიმჩნევა, თვალის უნდა კარგი მტრელი.

მივადექი ფაცხის კარებს, სიბნელეში ფეხი შევდგი, იქ ლამაზი შემოგმართე, გაეინათე დამე ბნელი.

მიმოვაგლე თვალის კედლებს, მხედარს უნანს კარგი ხელი, ეტყობა, რომ ნამუშევარს, ურევია მცოდნის ხელი.

მოსვენება გადავწყვიტე, იქვე ტახტზე წამოვდექი, ძილა-ბურანში გავეხვიე, მესმის ხმები ტურა-მგელის.

შიში არ მაქვს ამაღ გრძობის, ფიქრმა შორით გამიტაცა, ჩამეხინა წყნარი ძილით, ფიქრი ყოვლის დამიამდა.

დილით მშვილად ვახელ თვალებს, სითბო იგრძობოდა დღისა, სიო წყნარი ტყედ დაჰქროდა, კაცს მოჰკვიდა სიამესა.

მზე სხივებსა ფაცხას პყვნდა, ნამი მინდორად გამობრწყინდა, ვარსკვლავით მოცემცემეს, სიო წყნარი აღვივებდა.

გამოვედი ფაცხის გარეთ, მზის სხივები შემეყარნენ, მოფუსფუსეს ტყეთ შრიად, ცაში მზერით ავიტანე.

გამიღვივა ფიქრი მწვავე, იქვე ახლოს მოვიარე, იქ სიახლე თვალთ ვნახე, ჩემს გულს გრძობად შეეყარნენ.

ეს დღე ამით დავაღამე, დამე ფიქრში გავატარე, არ მეხინა მე ის დამე, ცეცხლის შუქზე ვწერდი ამბებს.

თავი VI

და როცა ჩემს თვალს დღის შუქი ეკრთო, ფერები ცვლიდა ჩემს თვალთა მხერგას, ცეცხლის შუქი და მზისა სინათლე, ერთი ფერებით აქ გაიფერა.

თითქოს ჩემს წინ ამოდიოდა, მზე განცხრომილი აღის ფერებით, აქ შორიახლოს მე ყურთ მომესმა, მოაკვლევებდა მერანს მხედარი.

ბილიც ფეხ-ჩქარა შემოაჭვნა და მომესალმა იგი მეგობარს, გული ალაღად მან მომაგება, დადლილი იყო, ჰგავდა მეომარს.

მე სიახურელის სახედრებს შორს გავცდი, ამოვიკითხე მის მორჩილება, რომა დაბრუნდა იგი მხედარი, მშვიდი ვიგრძენი კმაყოფილება.

მიამბო იმან, რაც იქ ისმინა, გასწიესო მათ მასინძილობა, დაბრუნდო მხედარსა ჰკადრეს და იგი პასუხს აძლევს ძვირობად.

თავი VII

წავეუქები ფაცხისაკენ, გავეწვი მასინძილობა, მხოლოდ მაშინ ყველა მითხრო, როცა კარგად მოსვენდა.

ბოლოს მითხრო, მაგობარო, მე შემოვრნი ამა ტყესა, მსურს, რომ შენთან ვიმეგობრო, მე ამისთვის ვიწვდი ხელსა.

ჩვენ ამ ტყეთა მასინძილობა, რომ გავსწოთ ყოვლის დღეთა, მარტობას მაშინ ვიგრძობთ, თუ ეს გრძობა გამრუდდება.

ჩვენში სიტყვა ძვირად ფასობს, უტყუარი არის ესა და ძვირობა იმან დარგოს, ვინ აიღებს მშობის ხელსა.

იგივეს ვგრძობ მე ჩემს გულში, მინდა მასთან მეგობრობა, მაგრამ საქმე ჩემი სხვაა, ვფიქრობ, ვეტიკვი, გამიგებსა.

ჩემო კარგო მეგობარო, შენზედ მე არ ვიღებ ხელსა, მხოლოდ ხშირი მასინძილობა, მე მომიწვეს ამა მიიებას.

რომ მე ხშირად ვესტუმრები, დღეებს შენთან ძმურად დავყოფ, არ დაგტოვებ მე ამ ტყესა, ყოველ მოსვლით ამბებს გამცნობ.

გაუხარდა, მომეხვია, იგრძნო ჩემი დაპირება, სჯერავს ჩემი იმ მხედარსა, არ იქნება ორპირობა.

ვისაუბრეთ, ამბებს მოვეყვით, დილით მშვეტიკით გამეზარება, რომ მხედარი გამაცვილებს, მე სოფლამდის გამომეყვება.

და ეს დამე ტკბილად დავეყვით, მშვიდი ძილი მოსვენებად, დილით ადრე გავეგზავრეთ, გზა სიბნელით გვექვენიება.

მიმძიმს მასთან განშორება, დროებითი თუნდ ეს არის, გულში დარდი გაუქრება, რომ მხედარი მარტოდ რჩება.

და მერანი გზად დროდადრო, ხან ჰკენდება, ხან ჩერდება, ჩვენ უსიტყვოდ მივინჯართ, ამაღ გრძობად განშორებად.

გადავსერეთ ტყე-მინდორები, უსიტყვოდ და უხეხებულად, სოფელს მივებით გადავხედეთ, იგი სხვა ფრად მესახება.

შეღვა რაში და მხედარმა, წახვლა მეტი არ ინება, ორნი ვდგავართ, გარინდულნი და მერანაც არსით იხერის.

კორდით ფეხი დავაბიჯე და ვიგრძენი დაღლა მაშინ, ვუყურებდი მხედარს, როცა ვმორდებოდი მას ხელგაწვილდს.

ურა უკან მაღე, გაატუნა მან მერანი, საიმედოდ მას თან ახლავს, განუყრელი მეგობარო.

თვალის შორით გავაყოფე, ვიდრე ჩანდა მომაგალი, სწრაფად ტყეში გაატუნა, რაში მისი ძალზედ სწრაფი.

თავი VIII

მე სოფლისკენ გავეშურე, მცირე გზა მაქვს გასავლელი, მივდივარ და ფიქრი მიმაქვს, ამბავს როდის მე მოვეყვები.

და სოფელსაც მივადექი, მოკლე გზებით ჩავიარე, იქ შევალე ეზოს კარი, ფეხაკრეფით გავიარე.

მივაშურე ჩემს ოთახსა, ფრთხილად კარი იქ შევალე და ვის ეხედავ. პატარა ბიჭს, მშვილად თვალის გადავაგლე.

ჩემს ოთახში იმას სინავს, მიუგნია მშვილსა ბინას, აქ საყვედურს არვინ ეტიკვის, სწინა, ჰქონია გულში დღევა.

რომ ამდენს ხანს მე არ ვნანდი, მიუნატრა ჩემი ხილვა, მიუნატრა ტყედ შრიადი, ჩემს ოთახში მედის დიდხანს.

შვეტიკო, რომ მისვლა იგრძნო, იგი მაღე შეიშეშნა, თავი მაღლა წამოსწია, სიახურელმა გააფხიხლა.

მასთან ახლოს მე მივედი, სიახურელმა გადამძლია,

მითხრა, სახლში როდის მიველ და სისწრაფით მომეხვია.

ინტერესმა ის მოიცვა, მიამბო, რაც იქ ვნახე, მოვეყვები მცირე თხრობით, თქმული თვალწინ აუესახე.

ამ საღამოს ყველას ვუხმე, ვინაც სცნობდა ამ ამბავსა, მე ყვევლი და მსმენელმა იგი თქმული შეაფასა.

ამის მერე ჩემს მეგობარს პატივს სცემდნენ ამის მსმენნი, მე, მითხრობელი ამ ამბისა, იგი ჩემი მეგობარნი.

მხოლოდ ესა მინდა თქმადა, მე მხედარმა შემთავაზა, იმან საქმე მითხრო ძვირის, ის, ყოველთა არ სამხილი.

პასუხი თავს თვით ვუთხარი, სხვათა არასათქმელსა ჰგავს, მხოლოდ არვის ეს არ არგებს, ზოგც არსად სანდომსა ჰგავს.

მხოლოდ ვინაც იმას ვფიქრობს, რომა ბრმასა ის მოჰპარავს, ვერ დაიდებს გზასა წინა, ესა ხელსა არ უმართავს.

დარგულ ვარდას თუ ხეგას ჰპარავს, იგი მაღე დაუჭკნება, გაუხმება ძირი იმას, მისი არდროს არ იქნება.

თუ გეწვია ვინმე სტუმრად, ნუ შეკრთები მასინძილი, წინ დაუდებ ალაღ ლუკმას, იგი შენი მადლობელი.

ნუ წართმევე სხვას თავისას, სხვისი არად შეგერება, მოიპოვე შრომით შენით, წინ ალაღად შე გეყრება.

სად ღარიბი კაცი ნახო, იგი შენი მეგობარო, მის ღირსება არ შეღახო, გაუწოდე ხელი სამოდ.

ღირსებაა კარგიც, ცუდიც, მხოლოდ გახდი იმის ღირსი, საკუთარი შენი თავის შეინახო სინდისი.

ამით სხვასა კარგსა არგებ, სამეგობროდ ერთობისთვის, მარადისი ყოფნისათვის, ღირსეული ღირსებისთვის.

თავი IX

ვისეგარ ახლა ჩემს ბუხართან, მომეძალა იმ დღის დარდი, კარგი იყო, როცა მხედარს სამეგობროდ გვერდში ვახლდი.

ბუხართან ვარ მე მიმჯდარი, ცეცხლის ალი შევბით მათობის, გარეთ ცივი წვიმა მოდის, ჩემი გული ყინვასა გრძობს.

იგი მხედარს მე ვუყურებ, იმას გული შიზინდან სწვავს, იქნებ იქაც წვიმა მოდის, მისი გული ყინვასა ჰგავს.

ვერ ველევი ჩვენ ერთმანეთს, ხშირად ესტუმრობ მასთან მთაში, პირობა და დაპირება უტყუარი არის ჩვენში.

მე მხედარმა მომცა ნება, რომ სიმართლე შევაფასო, კაცი, ვინაც გრძობდა ამცნობს, იგი მადლით ავამადლო.

მსურს, სხვაგან პყოს მეუდროება, დარგოს ნერვი ამა სოფლით, აღასრულოს ჩანაფიქრი, სიტყვა ამასოფლით ყოფნის.

და იმედი არ ცრუვდება, შორით ათობის ამა გრძობის, იგი ცოდნა სიმდიდრეა, აზვარ ნათობს შუქი ხეაღის.

მხოლოდ დამრჩა სააასუხო, ამაღ ფიქრთა არ მევა დარდი, მხედრის ხელი შრომის მქმნელი, რომ ტყვეობის არის მსხველი.

ერთი ლექსის ზეიმი



ნინო ფრუიძე ახალი წელი!

(საბავშვო)

ახალი წლის მობრძანებას, სიხარულით ველი, ბედნიერი ყოფილიყოს, ეს, ახალი წელი. მინდა, ზეცამ გაიბრწყინოს, უფრო თბილი გახდეს, ყველას, დიდის თუ პატარას, ოცნებები ახდეს. ვისურვებდი, ჩემს სამშობლოს, მთლიანსა და ერთიანს, ეს ხომ ყველა ქართველისთვის, ნატვრა ერთადერთია. ახალ-ახალ სურვილებით გხვდებით, წელი ახალი, მინდა, შენი მობრძანება,

თოვლის ფიფქით გვახარო. მოგილოცოთ მინდა ყველას, ამ პატარა გულით, წელს გისურვებთ ნათელს, ფერადს, სავსეს სიყვარულით.

იყო არა იყო რა

ღამეშებარულ ოთახის მიღმა, დრო არსებობას კართან ასრულებს, თვალამოთხრილი სიმართლის ნიღაბს, ცხოვრება არგებს ფლიდს და ავსულებს.

გადაწყვეტილი ბედის ხაზები, ხელის გულზე ალარ ერთდება, ის ვინც დაგიგო ფინანაზები, შენს დაცემასაც ის შეეცდება...

ელვააცდენილ სახლის სახურავს შეფარებთან ჩუმად მერცხლები, სიცოცხლის ზენარს მე რომ მახურავს, ვერ მიაბნეის ვერსად ვერცხლები.

ფარჩავილი მინდვრების გულზე მზეს დარჩენია კოჭლი სხივები, ყელზე მოჭერილ სიცოცხლეს ვუძლებ, შემოსწრებული დროის იმედით.

გადასანთლული მინის თვალიდან, ცრემლის კურცხალი მაინც მიგორავს, ცხოვრებას ვინცებთ მუდამ თავიდან, მთავრდება... იყო არა იყო რა.

ლეო ბოკერია - 85



მიმდინარე წლის 22 დეკემბერს, აფხაზეთის ლტოლვილთა სამინისტროს ხელმძღვანელობა და ოჩამჩირეს კავშირის „ერთობა“-ს წევრები საიუბილეო შეხვედრას უწყობენ ცნობილ ქირურგს ლეო ბოკერიას, რომელიც 85 წლის ხდება.

ლეონიდ ანტონის ძე ბოკერია (დ. 21 დეკემბერი, 1939, ოჩამჩირე) - ქართველი ქირურგი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი

(1973), პროფესორი (1975), რუსეთის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1994), მოსკოვის ა. ბაკულევის სახელობის გულ-სისხლძარღვთა ქირურგიის ინსტიტუტის დირექტორი (1994-დან).

1965 წელს დაამთავრა ი. სეჩენოვის სახელობის მოსკოვის I სამედიცინო ინსტიტუტი. 1968 წლიდან იყო სსრკ მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ა. ბაკულევის სახელობის გულ-სისხლძარღვთა ქირურგიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, 1974 წლიდან - ამავე ინსტიტუტის ჰიპერბარული ოქსიგენაციის დაბორატორიის ხელმძღვანელი. ჰიპერბარული ოქსიგენაციის შესწავლისა და ამ მეთოდის ქირურგიაში დანერგვისათვის ვლადიმერ ბურაკოვსკისთან და ვ. ბუხარინთან ერთად მიენიჭა ლენინური პრემია (1976).

შეხვედრას უხელმძღვანელებენ საორგანიზაციო კომიტეტის წევრები: რეზო გურგუაძე, ლორენცო შარანგია, თამაზ ჩიქოვაძე, რომან ჯობავა, თენგიზ ნორაკიძე, გივი ჩხეტია, დილარ კემულარია და სხვ.

საიუბილეო მასალას ჩვენი გაზეთის ფურცლებზე შემოგთავაზებთ შემდეგ ნომერში.

მეტად აქტუალური თემა

ძველი თაობის წარმომადგენლებს კარგად გახსოვთ: პროფესიული განათლება ჰყვოდა და ჰქუხდა საქართველოში. სამწუხაროდ და ჩვენდა სავალალოდ, ამ კუთხით საქმე უკან წავიდა მისი არასებობის აუცილებლობა კი დიდი ხანია მწვავედ იგრძნობა. მოფენილი იყო ქვეყანა პროფტექნიკური სასწავლებლებით, არსებობდა „პტს“ სახელმწიფო კომიტეტი პიპოკრატე

შევარდნადის თავმჯდომარეობით. ბოლო ხანებში მთავრობა, განათლების სამინისტრო ბევრს ცდილობს ამ სისტემა-სტრუქტურის აღორძინებას, მაგრამ პრობლემებს აწყდება სასწავლო-მატერიალური უზრუნველყოფის კუთხით. სიტყვამ მოიტანა და აქვე ვიტყვი: გაზეთ „სახალხო განათლებაში“ არსებობდა პროფტექნიკური განყოფილება, რომელსაც

წარმატებით უძღვებოდნენ ალექო ასლანიშვილი და კოტე გურგენიძე. ახლა მინდა შეგახსენოთ ის ღონისძიება, რომელიც მკვეთრად შეცვლის ვითარებას პოზიტიურად, გააძლიერებს საპროფორიენტაციო მუშაობას. მომავალი სასწავლო წლიდან აუცილებლად აღდგეს საშუალო სკოლებიდან უსამართლოდ გაძევებული საგანი შრომითი

სწავლება. გოგონებს ასწავლიდნენ მეოჯახეობას, ჭრა-კერვას, ქსოვას, ხოლო ვაჟებს - მშენებლობას, დურგლობას და ა. შ. იმართებოდა ნაკეთობათა გამოფენა-გაყიდვა, კონკურსები და სხვა საინტერესო ღონისძიებები სკოლებს შორის. ერთ მაგალითს აქვე დავგისახელებთ: ამ კონკურსში ხშირად იმარჯვებდა თბილისის 11-ე საჯარო სკოლა, რომლის

დირექტორი გახლდათ ბატონი რომან მოსეშვილი. დარწმუნებული ვარ, ზემონათქმული და სადღესისო საკითხი რეაგირებას ჰპოვებს განათლების სამინისტროს მხრიდან.

ბორის მიშველაძე, პედაგოგიკის დოქტორი

არ დავიწყებ მოყვრისა

ბიორბი კარვალიშვილი



14 ნოემბერს, საქართველოს პარლამენტის წინ, 9 აპრილს დაღუპულ ბიორბი კარვალიშვილს, შხანაძის საბჭოს პირველი ხელმძღვანელისა და მის თავმჯდომარედ ზვიად გამსახურდიას არჩევსაღმად მიძღვნილ მიტინგზე, გულის შეტევილი, მოულოდნელად ბარდაცივალა ბიორბი კარვალიშვილი.

გიორგი კერვალიშვილი სტუდენტობის წლებიდან ჩაერთო ეროვნულ მოძრაობაში და ზვიად გამსახურდიასა და მერაბ

კოსტავასთან ერთად უშურველად ეწეოდა ამ მძიმე და საპატიო მისიას.

იგი იყო „ადამიანთა უფლებების დაცვის ასოციაციის“ პრეზიდენტი და დაულალავად ზრუნავდა პოლიტიპტიმრებისა თუ უბრალოდ დაჩაგრული ადამიანებისათვის სამართლის საპოვნელად. მრავალი იმ ადამიანთა რიცხვი, ვისად უანგაროდ გაუწია დახმარება და დაცვა მათი სამართლიანობა.

გიორგი კერვალიშვილი ღირსეულად აგრძელებდა მერაბ კოსტავას ეზოში ოთხშაბათობების შეხვედრებს, რომელსაც თავის დროზე საფუძველი ჩაუყარეს ზვიადმა და მერაბმა. ამ შეხვედრებზე იგი ამხელდა შევარდნადის რეჟიმიდან მოყოლებული დღემდე ხელისუფალთა არაღივიტიმრობასა და მათ ავსაქმიანობას, ფეისბუქ გვერდზე ანთავსებდა მიმართვებს ქართველი ხალხისადმი, რომელსაც ათასობით მსმენელი თუ მაყურებელი იზიარებდა.

უსამძიმრებთ ოჯახს, ახლობლებს ნათესავებსა და სრულიად საქართველოს. ნათელში იყოს გიორგი კერვალიშვილის პატრიოტი სული და უფალმა დაუმკვიდროს ცათა სასუფეველი ქართველ გმირთა ზეციურ სავანეში.


მეგობრები

პავლე მურადაშვილი ჩვენი ქსოვს საქმოს ერთგული წევრი იყო, მისმა ბარდაცივალაშვილმა კვლავ დაგვიტოვა მის მიმართ ბრძოლა, რომელიც ნათესავებსა და ოჯახის წევრებს.

პავლე მურადაშვილმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი დაამთავრა და სტუდენტობის შემდეგ თურქეთში მუშაობდა საელჩოში თარჯიმნად. იქიდან დაბრუნებული მუშაობდა შეუდგა განათლების სამინისტროს, თბილისის განათლების სამმართველოში, შედგომ იყო იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე იყო და პირნათლად ზრუნავდა ამ ინსტიტუტის კეთილდღეობაზე, მის თანამშრომლებზე და სამეგობრო წრეზე.

ბატონი პავლე იყო მეგობრული, სტუმართმოყვარე და პურმარილიანი, იცოდა სუფრის ლაზათი, ადამიანებთან ურთიერთობაში - თავმდაბალი, მაგრამ პირუთენელი და საჭიროე-

პავლე მურადაშვილი



ბისამებრ უკომპრომისოც. მისი წასვლა სულიერ სამყაროში დიდი დანაკლისია ამქვეყნიურობისთვის, მაგრამ იმედს ვიტოვებთ, რომ ცათა სასუფეველში სრულად მოიმკის ნეტარებად, რაც ამქვეყნად სიკეთე დაუთესავს.

მსუბუქი იყოს მისთვის მეუღლის გვერდით განსასვენებელი და ქართული მიწა.

მეგობრები

მთ. რედაქტორი ბორის მიშველაძე 555 596 050 ალმასრ. რედაქტორი: ნათია გურგენიძე 593 422 258 გამომცემელი: ა(ა)იპ „პედაგოგთა და მეცნიერ-პედაგოგთა ხელშეწყობისა და დამარების საქველმოქმედო ფონდი“ ს/ს 402010587 ს/ს თბილისი ბანკი: GE 94 TB7249236080100007

რედაქტორია ზურაბ ქობალია (თავმჯდომარე) 599 343 727; ნათელა ქიქერიძე 595 584 572; ბორის მიშველაძე 555 596 050; ეკა მამუკაშვილი 599 944 592; კონსტანტინე გურგენიძე 592 777 181; ნათია გურგენიძე 593 422 258; მზია გოგოძე 593 208 048; ირმა მეტონია 591 320 705; გერმანე საზანოელი 593 022 913; თამარ ანდრიაძე (კომპიუტერული რედაქტორი) 599 44 98 48; ელ-ფოსტა: saxgani@gmail.com ვებგვერდი: saxalxoganatleba.ge ტელ: (032) 2 99 80 00; (032) 2 98 48 07

სახალხო განათლება+ N7 (4623) 18 დეკემბერი / 2024 წელი გაზეთი გამოდის 1928 წლიდან ISSN 1987-9113 9 771987 911009